პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 159 (9627) | ოთხშაბათი, 8 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

სამშობლო მოითხოვს შეტ და მაღალხარისხოვან ქვანახშირს — მოწონავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
საკავშირო ინფორმაციები (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ცოცხალი სიტყვა მინდვრად (მე-2 გვერდი).
ა. თომაძე, ბ. ჯაველიძე. — არაგვის ხეობაში (მე-2 გვერდი).
ანდრია შტოგარენკო. — ორი მოძმე ხალხის მუსიკოსთა მეგობრობა (მე-2 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
საერთაშორისო ავანტიურებსა და მშვიდობის დაცვაზე (მე-3 გვერდი).
მკითხველთა წერილები (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის (მე-4 გვერდი).
ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის აღმასკომის განცხადება (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სამშობლო მოითხოვს მეტ და მაღალხარისხოვან ქვანახშირს

ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის ქვანახშირის მრეწველობის განვითარება, რაც ქვეყნის ეკონომიური აღორძინების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი და წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდის აუცილებელი წინაპირობაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად ჩვენი ქვანახშირის მრეწველობა აღჭურვილია მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი, ახალი ტექნიკით, შახტებში განხორციელებულია მძიმე, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, შემსუბუქებულია ადამიანის შრომა. სამთო კომბაინები, ქვანახშირისა და ფუჭი ქანის დამტვირთავი მანქანები ცვლიან მეშახტის კუნთების ძალას ქვანახშირის ფენის გაყელვასა და მონგრევაში, მონგრეული ქვანახშირის აწმენდასა და საშახტო ტრანსპორტზე დატვირთვაში, სანგრევი ხაზის წინსვლასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მძიმე სამუშაოს შესრულებაში.

ახალი საბჭოთა საშახტო ტექნიკის ფართოდ დანერგვამ, მეშახტეთა მასობრივმა პატრიოტულმა შრომითმა თავდადებამ შედეგად მოგვცა ქვანახშირის მოპოვების უმაგალითო აღმავლობა. მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა მეშახტეებმა ქვანახშირის მოპოვება გაადიდეს 27,7 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 23,6 პროცენტით.

საბჭოთა მეშახტეების დიად ოჯახში ღირსეული ადგილი უკავიათ საქართველოს მეშახტეებს. ისინი ადიდებენ ქვანახშირის მოპოვებას, აუმჯობესებენ ფენათა დამუშავების მეთოდებს, მოქმედ საწარმოთა მწყობრში აყენებენ ახალ სიმძლავრეებს, მზარდი რაოდენობით აძლევენ მეტალურგიას, ტრანსპორტს, მთელ სახალხო მეურნეობას ძვირფას საწვავს — კოქსად და ენერგეტიკულ ქვანახშირს.

წელს საქართველოს მეშახტეების წინაშე განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანებია დასახული. მათ კიდევ უფრო უნდა გაადიდონ ქვანახშირის მოპოვება, უზრუნველყონ რესპუბლიკის მზარდი მეტალურგიული მრეწველობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება, შეამცირონ ნაკლოვანობა და ტონა ქვანახშირის თვითღირებულება. ამისათვის საჭიროა მეშახტეებმა გადაჭრით გააძლიერონ მუშაობის ტემპი, იმუშაონ რიტმულად, აამაღლონ საშახტო მექანიზმების წარმადობა, უზრუნველყონ ქვანახშირის ამოღების სისტემატური ზრდა, მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევა.

მეშახტის დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას საქართველოს მეშახტეებმა ძირითად ვალდებულებად სწორედ ამ ამოცანების შესრულება დაისახეს. მაგრამ ყველა შახტის, ყველა საშახტო საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი როდი ასრულებს ამ პირობებს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის წამყვან საბადოში ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტში, რომელმაც წლის პირველი ნახევრის გეგმა ვადამდე 5 დღით ადრე შეასრულა, არიან მთელი რიგი შახტები და უბნები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. ასევეა ტყიბულში, სადაც კვლავ გაუმართავად, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის შახტების კოლექტივები. განვლილი ნახევარი წლის გეგმები ტყიბულელ მეშახტეთა შორის წარმატებით შეასრულეს მხოლოდ მოლოტოვის სახელობის შახტისა და ვალალოის შახტის კოლექტივებმა.

შესამჩნევად გაუუმჯობესა მუშაობა ახალციხე-ქვანახშირის ტრესტმა. ახალციხელმა მეშახტეებმა განვლილ ექვს თვეში სამშობლოს მრავალი ათასი ტონა ენერგეტიკული ქვანახშირი მისცეს გეგმის გადამეტებით.

ასეთია საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შედეგები წლის პირველ ნახევარში. ეს შედეგები გველაპარაკებიან იმაზე, რომ საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ შახტების მუშაობა, დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი, რათა გეგმას ასრულებდეს ყველა შახტი, ყველა უბანი, სანგრევი და ცვლა.

წლის მეორე ნახევარში საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ პირველ ნახევართან შედარებით საგრძნობლად უნდა გაადიდოს ქვანახშირის მოპოვება. ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტს დაგეგმილი აქვს ქვანახშირის მოპოვების გადიდება 11,5 პროცენტით, ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტს — 10,2 პროცენტით, ხოლო ახალციხე-ქვანახშირის ტრესტს — 11,3 პროცენტით. ეს პასუხსაგები დავალებაა.

ამ დავალების გასანაღდებლად აუცილებელია მეტი ყურადღება მიექცეს შახტებში სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დაჩქარებას, უბნებსა და სანგრევებში შრომის პროგრესული მეთოდის — ციკლური გრაფიკით მუშაობის დანერგვას, ქვანახშირის საექსპლოატაციოველის დამუშავების რაციონალური, სამთო პირობების თავისებურების შესაბამისი სისტემის შემოღებას, საშახტო მექანიზმების გაცდენათა აღმოფხვრას. ტყიბულში სტალინის სახელობის შახტის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სამთომოსამზადებელ სამუშაოთა უგულებელყოფაა.

ჩვენს შახტებში ჯერ კიდევ ნელა, შეიძლება ითქვას, ზანტად ინერგება ციკლური გრაფიკი, სანგრევ და მოსამზადებელ შტრეკებში ფუჭი ქანის აწმენდა-დატვირთვის მექანიზაცია, ე. ი. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ის ღონისძიებები, რომლებსაც ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. 1955 წლისათვის ქვანახშირისა და ფუჭი ქანის მექანიკურად აწმენდა-დატვირთვის მოცულობა 1952 წლის მოცულობასთან შედარებით უნდა გაიზარდოს ლავებში ორჯერ, ხოლო მოსამზადებელ შტრეკებში — ორნახევარჯერ. აღსანიშნავია ისიც, რომ იქ, სადაც ციკლური გრაფიკით მუშაობა ჯერჯერობით არის მოწყობილი, მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება გაცილებით მეტია, ვიდრე იმ ლავებში, სადაც გრაფიკი ვერ განახორციელეს.

საქართველოს მეშახტეთა წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით მეშახტე რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს. შარშან საქართველოს რაციონალიზატორმა მეშახტეებმა განახორციელეს 117 ახალი წინადადება და ამით სამშობლოს 2.271.000 მანეთი ეკონომია მისცეს. ამჟამად ქვანახშირის სამრეწველო რაიონებში მეშახტის დღის აღსანიშნავად გამოცხადებულია რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა ორთვიური კონკურსი-დათვალიერება. მთავარია ახლა მეშახტეთა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ოპერატიულად უხელმძღვანელონ კონკურს-დათვალიერებას, რაციონალიზატორთა ყურადღება გაამახვილონ ქვანახშირის მოპოვების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ ახალ წინადადებათა შემუშავების საჭიროებაზე, სათავეში ჩაუდგნენ მეშახტის დღის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას და წინ გაუძღვენ მასებს ახალი საწარმოო აღმავლობის გზაზე.

ტყიბულისა და ახალციხის რაიონული და ტყვარჩელის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა გააძლიერონ პარტიული კონტროლი და ხელმძღვანელობა შახტებისადმი, მიაღწიონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას მეშახტეთა შორის, კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის ამაღლებას, მეშახტის დღის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებას თვითეული მეშახტის მიერ. პარტიის ტყიბულისა და ახალციხის რაიონული კომიტეტები, ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტი არა ზოგადად, საერთოდ, არამედ კონკრეტულად, საქმის ცოდნით უნდა ხელმძღვანელობდნენ შახტების პარტიულ ორგანიზაციებს, იცოდნენ რით ცხოვრობს მეშახტეთა მასა, რა აწუხებს და რა უშლის ხელს მუშაობაში და სწრაფად ღებულობდნენ ზომებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება განვახორციელოთ ნამდვილი ხელმძღვანელობა და დახმარება მეშახტეებისადმი.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 6 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 43,1 პროცენტით, ივლისისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 10,4 პროცენტით. ცალკე რაიონების მიხედვით ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს ივლისის დავალება წინა თვეების დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 9,8 პროცენტით, ქობულეთის — 12,6, გალის — 10, ოჩამჩირის — 7, 4, გულრიფშის — 10,7, სუხუმის — 21,7, გუდაუთის — 10,2, მახარაძის — 9,1, ჩოხატაურის — 13,9, ლანჩხუთის — 13,5, სამტრედიის — 16,3, წულუკიძის — 8.3, ქუთაისის — 12,5, ტყიბულის — 4,8, ცხაკაიას — 10,6, აბაშის — 13, გეგეჭკორის — 6.2, ზუგდიდის — 13,6, წალენჯიხის — 7,5, ჩხოროწყუს — 6.4. ხობის — 10,2, თერჯოლის — 12,6 და ზესტაფონისას — 4,5 პროცენტით.

საბჭოთა საქართველოს დღე

უკრაინელი ხალხის მუსიკალური კულტურის მოღვაწენი თბილისში. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): კომპოზიტორი — დირიჟორი კლემენტი დომინჩენი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი — დირიჟორი მიკოლა კოლესა, მუსიკათმცოდნე მიკოლა მიხაილოვი, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ანდრია შტოგარენკო, სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი — დირიჟორი გერმან ეუკოვსკი, სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ვადიმ გომოლიაკა.

★

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში 4 ივლისს გრძელდებოდა უკრაინის საბჭოთა მუსიკის კონცერტები. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს უკრაინის სსრ დამსახურებულმა სახელმწიფო კაპელამ „დუმკამ“ და საქართველოს სსრ სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა. უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. კოლესის, სტალინური პრემიის ლაურეატის გ. ეუკოვსკის, კ. დომინჩენის, ვ. ნახაბინის დირიჟორობით, შესრულებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო არტისტ ლ. რევუცკის ნაწარმოები „ქება შენ მამავ“, გ. ეუკოვსკის „მსოფლიოს ახალგაზრდობის ფიცი“, ვ. ნახაბინისა „ჩემი სამშობლოს სურათები“ და სხვ.

5 ივლისს გაიმართა უკრაინისა და საქართველოს კომპოზიტორების შემოქმედებითი შეხვედრა. შეხვედრას დიდი წარმატება ჰქონდა. უკრაინის სსრ დამსახურებულმა სახელმწიფო კაპელამ „დუმკამ“ დიდი წარმატებით შეასრულა სსრ კავშირის სახალხო არტისტის კომპოზიტორ ლ. რევუცკის „პარტიას დიდება, სტალინს ქება“, ნ. კოლესის „გვიყვარს სამშობლო“, გ. ეუკოვსკის — „ოი, ფართო დნეპრო“ და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო კაპელამ სტალინური პრემიის ლაურეატის ო. თაქთაქიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით შეასრულა გუნდის პარტია ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“, კომპოზიტორ ა. კერესელიძის სიმღერა „სტალინს“, ლერტოვიჩის ორი უკრაინული სიმღერა, ფინალი გლინკას ოპერიდან „ივანე სუსანინი“. საქართველოს ფილარმონიის სოლისტმა ვიოლინისტმა ი. ცხომელიძემ და პიანისტმა რ. გლუზერმა შეასრულეს ა. გნოსკო-ბოროვსკის „უკრაინული სიუიტის“ ორი ნაწილი.

კონცერტების პროგრამას ხელმძღვანელობდა კიევის კონსერვატორიის დოცენტი ი. მიხაილოვი.

დღეს საქართველოს დედაქალაქში დამთავრდა უკრაინის მუსიკალური ხელოვნების მიღწევათა ჩვენება, რომელშაც ხუთ დღეს გასტანა. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრსა და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გამართული კონცერტების ციკლში მონაწილეობა მიიღეს ცნობილი უკრაინელი კომპოზიტორების, დირიჟორებისა და მუსიკათმცოდნეთა ჯგუფმა, უკრაინის სსრ დამსახურებულმა აკადემიურმა კაპელამ „დუმკამ“, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა, საქართველოს ფილარმონიისა და თბილისის თეატრების სოლისტებმა.

კონცერტების პროგრამაში იყო უკრაინელი კომპოზიტორების გუნდური, კამერულ-ინსტრუმენტალური და ვოკალური ნაწარმოებნი.

გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა უკრაინისა და საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითმა შეხვედრამ. შეხვედრაზე გამოვიდნენ კაპელა „დუმკა“ და საქართველოს სსრ სახელმწიფო კაპელა.

საქართველოს დედაქალაქში უკრაინის მუსიკალური ხელოვნების მიღწევათა ჩვენება საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად, მოძმე რესპუბლიკათა მშრომელების მზარდი შემოქმედებითი ურთიერთობის მკაფიო გამოვლინებად გადაიქცა. (საქდესი).

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲗᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲓᲦᲔ

აღებულია 71.008 ჰექტარი კურეული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ცნობებით, 5 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში აღებული იყო 71.008 ჰექტარი თავთავიანი კულტურები.

თეთრი წყაროს რაიონში მომკილია 1.697 ჰექტარი, გურჯაანის — 1.813, კაჭრეთის — 2.217, სიღნაღის — 15.792, წითელწყაროს — 17.331, თელავის — 1.615, ახმეტის — 1.087, ყვარლის — 3.649, ლაგოდეხის—6.821, გარეუბნის — 3.906, გარდაბნის — 2.530, მარნეულის — 5.364, ბოლნისის — 2.222, საგარეჯოს რაიონში კი — 683 ჰექტარი და ა. შ.

აქედან კომბაინებით აღებულია სულ 62.493 ჰექტარი. გასულ წელს ამავე რიცხვისათვის საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებული იყო მხოლოდ 19.259 ჰექტარზე.

გათუმელ მევაგონეთა წარმატება

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სავაგონო დეპოში დიდ ყურადღებას აქცევენ საამქროებში ე. წ. მცირე მექანიზაციის გამოყენებას. ამ დღეებში აქ მოაწყეს წარმოების ტერიტორიაზე გოგორწყვილების ტრანსპორტირების მექანიზაცია. განახორციელეს კიდევ მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიება: ბუნკერიანი ვაგონის გადმობრუნება რემონტისათვის ძმიმე და შრომატევადი სამუშაოა. ამ სამუშაოს წინათ ხელით ასრულებდნენ, ახლა მევაგონეებმა გამართეს სპეციალური მოწყობილობა, რომლის საშუალებით ბუნკერიან ვაგონს მექანიზმი აპირქვავებს.

მექანიზაციის ფართოდ დანერგვა მევაგონეებს უადვილებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, რემონტის ხარისხის ამაღლებას. საამქროებს შორის დაწინაურდა ცისტერნების გამრეცხი საამქრო, რომელსაც ვალერიან ხუხუნაიშვილი ხელმძღვანელობს.

მექანიზატორთა სახლები მინდვრებში

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სახნავ-სათესი ფართობები სოფელს 4-5 კილომეტრით არის დაშორებული. აქ განუწყვეტლივ მუშაობენ გურჯაანის მტს-ის მექანიზატორები — ხნავენ, თესავენ, მოსავალს იღებენ და სხვ. კოლმეურნეობამ მათთვის სპეციალური სახლი ააგო. მექანიზატორები აქ ღამეს ათევენ, რადიო „უროჟაით“ მტს-ის დირექციისაგან დავალება-მითითებებს იღებენ, თავის მხრივ მუშაობის შედეგებს აცნობებენ.

მექანიზატორთა სახლები ააგეს აგრეთვე ამავე სოფლის ბერიას და გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

გუშინ, 7 ივლისს თბილისს საგასტროლოდ ჩამოვიდა ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. თეატრის კოლექტივს გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, რეჟისორები, მსახიობები, მწერლები და სხვ.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელმა რ. ქორქიამ, რომელმაც თეატრის კოლექტივს უსურვა შემოქმედებითი წარმატება თბილისის მაყურებელთა წინაშე.

საპასუხო სიტყვაში ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა მ. მეძმარიაშვილმა განაცხადა: ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი თეატრის კოლექტივი დიდად ბედნიერია, რომ ესტუმრა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს — თბილისს. თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ემზადებოდა გასტროლებისათვის. მან კარგად იცის, რომ იგი თავისი დადგმებით უნდა წარსდგეს მაღალი გემოვნებისა და მომთხოვნელი მაყურებლის წინაშე. ეს კი გვავალებს მეტი პასუხისმგებლობით და გულისყურით მოვეკიდოთ ჩვენს საქმეს, რათა წარმატება მოვიპოვოთ. ჩვენი თეატრის კოლექტივი დიდი მღელვარებით მოელის თბილისელ მაყურებელთან შეხვედრას, მოელის სამართლიან, კრიტიკულ შენიშვნებს, რაც საუკეთესო სკოლა იქნება თვითეული ჩვენთაგანისათვის და რაც მეტ სტიმულს მოგვცემს შემდგომ მუშაობაში შემოქმედებითი წარმატებების მოპოვებისათვის.

თბილისელ მაყურებელს თელავის თეატრი უჩვენებს სტალინური პრემიის ლაურეატის ჰ. მუხთაროვის პიესას „ოჯახის ღირსება“, გ. დიმიტროვის სახელობის პრემიის ლაურეატის ო. ვასილიევის დრამას „ამქვეყნიური სამოთხე“, ვ. დარასელის დრამას „კიკვიძე“, ა. ცაგარელის კომედიას „ციმბირელი“, დ. ერისთავის ისტორიულ დრამას „სამშობლო“, კ. მიუფკეს დრამას „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“, ა. აბშილავას და ი. ჯავახიშვილის კომედიას „ვაზისუბნელი ძმაკაცები“. თეატრის საგასტროლო რეპერტუარში არის აგრეთვე ფ. შილერის დრამა „ვერაგობა და სიყვარული“ და ე. ვოინიჩის „კრაზანა“, (ინსცენირებული პროკოფიევის მიერ).

თელავის თეატრის კოლექტივი თავის სპექტაკლებს გამართავს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში.

თბილისიდან თეატრი გაემგზავრება გორში, სტალინირში, ხაშურში, ბორჯომსა და ახალციხეში, სადაც გამართავს სპექტაკლებს.

დღეს, თელავის თეატრი ვ. დარასელის გმირული დრამით „კიკვიძე“ დაიწყებს გასტროლებს.

წარმოების რეზერვების უკეთ გამოყენებისათვის

მოსკოვის ბისკვიტის ფაბრიკა „ბოლშევიკის“ მოწინავე ბრიგადები, რომლებსაც ვ. ბრაჟნიკოვი და ვ. პავლინი მეთაურობენ, მთელ პროდუქციას უშვებენ საუკეთესო ხარისხით და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. ამჰ. ბრაჟნიკოვმა და პავლინმა, გულდასმით შეისწავლეს რა თავიანთი აგრეგატების მუშაობა, გამოარკვიეს, რომ შესაძლებელია პირველი ხარისხის პროდუქციის გამომუშავების შემდგომი გადიდება. მათ თავიანთი ბრიგადებისათვის შეადგინეს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ აგრეგატთა ცალკეული კვანძების კონსტრუქციის შეცვლას, ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას და სხვ. ეს გეგმები, რომლებიც შემუშავებულია ინჟინრებისა და ტექნიკოსების მონაწილეობით, ამჟამად ხორციელდება.

ნოვატორებმა ფაბრიკის კოლექტივს მოუწოდეს მიბაძოს მათს მაგალითს, გამოავლინოს და გამოიყენოს რეზერვები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამჰ. ბრაჟნიკოვისა და პავლინის თაოსნობას გამოეხმაურნენ წარმოების ყველა ძირითად უბანზე. გამოანგარიშებულია, რომ დასახულ ღონისძიებათა შესრულებით ფაბრიკა შეძლებს საწარმოო სიმძლავრე გაადიდოს 3.900 ტონა პროდუქციით წელიწადში, დამატებით გამოიმუშაოს 40 მილიონი მანეთის ნაწარმი.

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ გადაწყვიტა ფართოდ გავრცელოს ფაბრიკა „ბოლშევიკის“ ნოვატორთა თაოსნობა, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და გამოყენებულ იქნას წარმოების რეზერვები, ამ მუშაობაში ჩაებას საწარმოს მთელი კოლექტივი. (საქდესი).

სტალინგრადელ ჰიდრომშენებელთა მიღწევები

ვოლჟსკი. (სტალინგრადის ოლქი). 6 ივლისი. (საქდესი). სტალინგრადის ჰესის მშენებლობაზე ჩაღდება კაშხალის და ჰიდროსადგურის შენობის ქვაბულის ამოშრობისა და გრუნტის ამოღების სამუშაოები.

ივნისში მნიშვნელოვნად გადააჭარბეს მოწყობილობის დაპროექტებულ სიმძლავრეს № 304 გადასატუმბავი სადგურისა და № 509 მიწისმწოვი მანქანის კოლექტივებმა, რომლებსაც ამჰ. ხრომიხი და მოშკინი მეთაურობენ. დღეს ამ აგრეგატებმა ქვაბულიდან ვოლგაში გადატუმბეს 180 ათასი კუბური მეტრი წყალი.

დღეს კუნძულ ზელეონის მექანიზატორებმა აღნიშნეს პირველი დღეებიდანვე მშენებლობაზე მომუშავე წარჩინებული მეექსკავატორის ი. ელისეევის შესანიშნავი შრომითი გამჯრ ვება. მუშაობის დაწყებიდან მან „ურალეცის“ მარკის ექსკავატორით ამოიღო 1 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი.

კიევის ავტომატური სასწორები

კიევი, 6 ივლისი. (საკდესი). დღეს კიევის ძერჟინსკის სახელობის სასწორთა ქარხნის კოლექტივმა მომხმარებლებს გაუგზავნა დამამზადებელ ჰუნქტებსა და ელევატორებში მარცვლის ასაწონი ორასი ავტომატური დოზატორი. დანადგარები შექმნეს ქარხნის კონსტრუქტორებმა. მარცვლის აწონის ყველა ოპერაციას დოზატორები ადამიანის ჩაურევლად ასრულებენ. ავტომატების წარმადობაა 20 და 60 ტონა მარცვალი საათში. თითოჯერ 5 და 10 ტონას წონიან ქარხანაში დამზადებული ელევატორის სასწორები.

მანქანათმშენებლები ითვისებენ ახალი მექანიზმების გამოშვებას სოფლის მეურნეობისა და საწარმოებისათვის, რომლებშიც წარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება. მოგვარებულია ბამბის საწმენდ საწარმოებში ნედლი ბამბის ასაწონი ავტომატური სასწორები სერიული წარმოება. ითვისებულია შაქრის ჭარხლის ასაწონი ავტომატური სასწორების გამოშვება. ბოსტნეულის სახმობ, სახამებელ-ბადაგის, სპირტ-არყისა და სხვა საწარმოები დიდი რაოდენობით მიიღებენ კარტოფილის ასაწონ ავტომატურ დოზატორებს.

მეცნიერ იხტიოლოგთა ექსპედიციები

ვლადივოსტოკი, 6 ივლისი. (საკდესი). წყნარი ოკეანის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს შორეული აღმოსავლეთის მეთევზეებს საზღვაო მეთევზეობის განვითარების საქმეში. ზაფხულის დადგომისთანავე მან შორეული აღმოსავლეთის ზღვებში გაგზავნა მთელი რიგი დიდი ექსპედიციები, რომლებმაც უნდა დაზვერონ ახალი რაიონები და სარეწი ობიექტები, შეიმუშაონ სარეწავი დაზვერვის უფრო სრულყოფილი მეთოდები.

ექსპედიცია ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. პისკუნოვის ხელმძღვანელობით გამოიკვლევს კურილის კუნძულების ჩრდილოეთ ნაწილისა და კამჩატკის სამხრეთი ნაწილის მოიჯნავე წყლებს.

ოხოტსკის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში გამოკვლევებს განაგრძობს მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი ბ. აიუშინის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფმა აღმოაჩინა ქაშაყის დიდი გუნდები, რის სარეწადაც გაიგზავნა საშუალო თევზსაჭერი ტრაულერების ორი ფლოტილია.

ექსპედიცია, რომელსაც გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ბირიულინი ხელმძღვანელობს, სწავლობს იაპონიის ზღვის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილებათა გავლენის სარეწი თევზის განაწილებაზე. ზღვისპირეთის აუზისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს: ამ უკანასკნელ წლებში შემჩნეულია ზღვის მნიშვნელოვანი დათბობა და მასში ზოგიერთი ახალი თევზის გაჩენა.

პარტიული ცხოვრება

ცოცხალი სიტყვა მინდვრად

კოლმეურნეობის კანტორის დერეფანში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია კედლის გაზეთის ნომერი. დიდით მკაზე მიმავალი კოლმეურნეები ინტერესით ეცნობიან გაზეთში მოთავსებულ მასალებს მოსავლის აღების მიმდინარეობის, კომბაინერთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ. მკის ამ ცხარე დღეებში სარედაქციო კოლეგიამ საგრძნობლად გააძლიერა მუშაობა. ახლა გაზეთი ყოველ კვირაში გამოდის. ამასთან წერილებიც უფრო საქმიანია. გაზეთის გარშემო დაირაზმნენ აგიტატორები, რომლებიც თავიანთი პრაქტიკული მონაწილეობით მრავალფეროვანსა და შინაარსიანს ხდის კედლის გაზეთს.

აგიტატორი ანა სიყმაშვილი ერთ-ერთი პირველი გავიდა მინდვრად საუბრების მოსაწყობად. მან საუბრები გამართა თემებზე: „უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი“, „ნამკალში არ დავტოვოთ არც ერთი თავთავი“, „უზრუნველყოთ კომბაინების შეუფერხებელი მუშაობა“, „პირველი განალეწი მარცვლეული მივცეთ სახელმწიფოს“. აგიტატორი კოლმეურნეებს აცნობს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს.

მემინდვრეობის ბრიგადა, სადაც აგიტატორად ა. სიყმაშვილია, პურის უხვ მოსავალს იმკის. კომბაინერი ა. შიხაშვილი დღითიდღე აძლიერებს მკის ტემპს. ამ დღეებში მან კომბაინზე მოაწყო ნათურები, რითაც უზრუნველყო ღამით შეუფერხებელი მუშაობა. აგრეგატი უნაკლოდ ახორციელებს საათობრივ გრაფიკს, რაშიაც გარკვეული დამსახურება მუშაობენ ტრაქტორისტ ქ. ზურაშვილსა და მეშტურვალე დ. ერიაშვილს. აგიტატორ ა. სიყმაშვილის სიტყვა ალაფრთოვანებს მექანიზატორებს ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

აგიტატორი თვითონაც აქტიურად მუშაობს, პირადი შრომით მაგალითს აძლევს მთელ ბრიგადას. მოწინავე მკელები ი. ალავერდაშვილი, ა. ბლიაძე, მ. კვიტინაძე, შ. კოკლამაზაშვილი და სხვები პირველობისათვის იბრძვიან. ბრიგადაში კარგად არის მოწყობილი მოსაკლის აღება. რვა კაცი მუდმივად ეხმარება კომბაინს, 45-მდე მოზარდი თავთავს აგროვებს, ექვსი მეურმე ძნას ეზიდება, ხოლო 50 მენამგლე პატარა ნაკვეთებს მკის.

ს. ბესაშვილის ბრიგადაში საინტერესო საუბრებს მართავს აგიტატორი მარიამ ბესაშვილი. მისი დამაჯერებელი, მართალი სიტყვა მოსავლის აღებაში დიდ როლს ასრულებს. კოლმეურნეები ყველა უბანზე ენერგიულად მუშაობენ და უხვ მოსავალს იღებენ. კომბაინერი ზ. რიჟამაძე ბრიგადის ნაკვეთებში ჰექტარზე 25-26 ცენტნერ პურს ლეწავს.

ახალი გაზეთით ხელში, მინდვრად ყოველთვის ნახავთ აგიტატორებს შ. გედევანიშვილს, ე. კამარიძეს, გ. გოგოლაძეს. ესენი, არიან სოფლის მოწინავე ადამიანები, რომლებსაც სააგიტაციო მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვთ.

საღამოობით მუშაობის დამთავრების შემდეგ, ეწყობა აგიტატორთა თათბირები. პარტიული ორგანიზაციის მდივანი და აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი გ. სესიტაშვილი აჯამებს ამ დღეს ჩატარებული მუშაობის შედეგებს, ხდება მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება, ნაკლოვანებათა გამოვლინება.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ პურეულის ბარაქიან მოსავალს იღებს. 1.100 ჰექტარ ფართობში საშუალოდ ჰექტარზე 23-25 ცენტნერ ხორბალს მოელიან. მინდვრად ალაონიდან ბინდამდე არ წყდება შემოქმედებითი შრომა. კალოებზე სადღეღამისო მუშაობაა, მექანიზმები ახარისხებენ და წმენდენ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ მარცვლეულს. მკა დღითიდღე ჩადდება.

მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეაქვთ აგიტატორებსაც.

გ. ოქრუაშვილი.

არაგვის ხეობაში

მოსავლის აღება

საამური სანახავია ახლა დუშეთის რაიონის საკოლმეურნეო მინდვრები. არაგვის ხეობასა და ბაზალეთის ველზე, მშვადიჯვარსა და ჭოპორტში, — ყველგან, სადაც კი კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა თავდადებით იმუშავეს, გულს ახარებს ნიავზე მოშრიალე პურის ყანები, სიმინდის ნათესები, ბაღები და ვენახები.

მიდამო ჭრელ ხალიჩას ჰგავს. პურს თანდათანობით ოქროსფერი ედება, წითლად ღვივის სამყურას სათიბები, მწვანედ ხასხასებენ ბაღები და ვენახები.

პური მწიფდება. მალე ბარის ზონის კოლმეურნეობები მოსავლის აღებას შეუდგებიან. რაიონში წელს 2.556 ჰექტარით მეტი პურეული უნდა აიღონ, ვიდრე შარშან. დუშეთის მტს-ის მექანიზატორები 4.000 ჰექტარზე მომკიან პურს.

როგორ ემზადებიან კოლმეურნეობები და მტს-ები მოსავლის აღების კამპანიისათვის? ბევრგან კარგად მოემზადნენ, მაგრამ არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, სადაც არ ჩქარობენ, ხელიდან უშვებენ ძვირფას დროს. სოფელ ბულაჩაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას პურის საუკეთესო ყანები აქვს. აქ ხორბლეული 195 ჰექტარზეა ასაღები. როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ჩოხელმა განაცხადა, მოსავლის აღების გეგმა აქ თითქოს შედგენილია, კოლმეურნეები საქმის კურსში არიან და არაფერი შეუშლით ხელს, მაგრამ სინამდვილეში ბულაჩაურელები მოსავლის ასაღებად ჯერ კიდევ მზად არ არიან. შესაკეთებელია ორი საწყობი, 6 ურემი, მოწესრიგებული არ არის კალოები, სასწორები, აკლიათ ნამგლები, ტომრები და სხვა საჭირო ინვენტარი.

უმოქმედობას იჩენს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც დღემდე არ განუხილავს მოსავლის აღებაში კომუნისტების მონაწილეობის საკითხი. სწორედ ამის შედეგია, რომ კოლმეურნეთა შორის ძლიერ სუსტად არის დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაცია.

შეიძლება ითქვას, რომ ბულაჩაურში, სადაც ყანები მალე სამკელი იქნება, ჯერ არაფერი გაუკეთებიათ ხორბლეულის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

ცუდი მდგომარეობაა მლაშეს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც, სადაც დღემდე არ შეუდგენიათ მოსავლის აღების გეგმა. მლაშელებს აკლიათ ინვენტარი და მოწყობილობა, საწყობები რემონტს მოითხოვს, მაგრამ ამაზე აქ არ უფიქრიათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ქორქაშვილი და პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ო. კოხტაშვილი ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქერიან.

სხვანაირად მოიქცნენ ჭოპორტის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, რომლებმაც მოსავლის აღების გეგმა შეადგინეს და კოლმეურნეთა საერთო კრებაზე განიხილეს, მაგრამ გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა ჩატარება დაიგვიწყეს.

ჭოპორტში შესაკეთებელია საწყობების სახურავები, უხარისხოდ გააკეთეს დეზინფექცია, მოსაწყობია კალოები, აკლიათ ტარა და ინვენტარი.

მოსავლის აღებაზე შარშან დუშეთის მტს-ის ბევრმა კომბაინერმა და ტრაქტორისტმა ისახელა თავი, მაგრამ ამავე დროს მუშაობაში მათ სერიოზული ნაკლოვანებანიც ჰქონდათ. ხშირი იყო კომბაინებისა და სალეწების მოცდენის, აგრეთვე პურეულის უხარისხოდ აღების შემთხვევები.

გასული წლის ნაკლოვანებანი რომ არ გამეორდეს, საჭიროა მტს-ის მუშაკები უკეთესად მოემზადონ. მართალია, მტს-მა კომბაინების რემონტი დროზე დაამთავრა, მაგრამ ზოგიერთი კომბაინი ახლაც უზრუნველყოფილი არ არის სათადარიგო ნაწილებით, აკლიათ ტრანსპორტიორები, საბურავები და სხვ.

გასულ წელს მოსავლის აღებაზე მომუშავე ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტი ძალიან ჭიანურდებოდა მძიმე სარემონტო სახელოსნოს უქონლობის გამო. ეს ნაკლოვანება წელსაც მეორდება. მტს-ის ავტომანქანა, რომელზეც სახელოსნოა მოწყობილი, მოძველდა და მას სათანადო ნაწილების უქონლობის გამო ვერ იყენებენ. შარშან არაგვისპირის კოლმეურნეობაში დროზე არ აწარმოებდნენ მარცვლეულისაგან ბუნკერის განტვირთვას, რის გამო კომბაინი ცდებოდა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ყურადღებას არ აქცევდნენ მექანიზატორთა შრომის პირობების გაუმჯობესებას. ეს ნაკლოვანებანი წელს არ უნდა გამეორდეს.

ხორბლეულის მშვენიერი მოსავალია წელს დუშეთის რაიონში. საჭიროა რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა ისე წარმართონ საქმე, რომ მოსავალი სწრაფად და უდანაკარგოდ იქნას აღებული.

ა. თოდუაძე,
გ. ჯაველიძე.

ლანჩხუთი

20 მანეთი ავანსად შრომადღეზე

მამათის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება შრომადღის ფულადი და ნატურალური ღირებულება. შარშან საშუალოდ თვითეულ შრომადღეზე გასცეს 33 მანეთი და 50 კაპიკი. ბევრმა კოლმეურნე ოჯახმა შრომადღეებზე მიიღო ფულად 30-40 ათასი მანეთი.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობაში უკვე გასცეს პირველი ავანსი — თვითეულ შრომადღეზე 20 მანეთის რაოდენობით. სოციალისტური შრომის გმირის ნორა კილაძის ოჯახს ავანსად ერგო 6.440 მანეთი, შ. ჩიკაშუას — 7.460, კ. ჩიკაშუას — 5.500, სოციალისტური შრომის გმირს ეკატერინე ჩხაიძის ოჯახს — 5.800 მანეთი და სხვ.

მეაბრეშუმეთა წარმატება

რაიონის ბევრმა კოლმეურნემ აბრეშუმის უხვი მოსავალი მოიყვანა. კარგად იმუშავა ახალსოფლის ძირძინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის იმ რგოლმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ლოლა კომახიძე ხელმძღვანელობს. მან პირადად 8 გრამი ჭიის თესლიდან 60 კილოგრამი პარკი მოიყვანა. გვიმბალაურის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ე. კვასხვაძე უფლიდა ერთ კოლოფ ჭიას. მან 101 კილოგრამი პარკი ჩააბარა პუნქტს და გეგმა 206 პროცენტით შეასრულა. ჩაბარებული პარკიდან 92,3 პროცენტი მაღალი ხარისხისაა.

აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მოიყვანეს შუხუთის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეებმა ნ. ორაგველიძემ, ა. ჩხაიძემ, ა. აფხაძემ, თ. ორაგველიძემ და სხვ.

პენსიები და დახმარებები

მიმდინარე წლის 6 თვეში გაცემულია პენსიები და ერთჯროული დახმარება 1.748 ათასი მანეთი. აქედან სამამული ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარება შეადგენს 775 ათას მანეთს, სამამულო ომის ინვალიდების პენსია — 220 ათას მანეთს.

გარდა ამისა, გაცემულია ერთჯროული ფულადი დახმარება 19 ათასი მანეთი. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე წელს 15 პენსიონერს მისცა კურორტების საგზური.

ბავშვთა თვითმოქმედების რაიონული დათვალიერება

ლანჩხუთში ე. ნინოშვილის სახელობის თეატრში 2 დღეს მიმდინარეობდა ბავშვთა თვითმოქმედების რაიონული დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო 8 სკოლამ და სასპორტო სკოლამ. მაყურებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სუფსის, ლანჩხუთის ვაჟთა და ჯურუჭუვეთის საშუალო სკოლების თვითმოქმედმა კოლექტივებმა, აგრეთვე აგარაკის 8-წლიანი სკოლის მოცეკვავეთა გუნდმა და სასპორტო სკოლამ.

გაზეთ „სოციალისტური შრომის“ რედაქცია — „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

ახალგაზრდა მუშები სიმწიფის ატესტატებს იღებენ

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). მარგანეცის ქალაქში მუშა ახალგაზრდობის საღამოს ორი საშუალო სკოლაა. ახალი სასწავლო წლიდან ლენინის სახელობის მაღაროში დამატებით გაიხსნება ერთი ასეთი საშუალო სკოლა.

წელს საღამოს საშუალო სკოლა დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 28 ახალგაზრდა მუშამ. სტალინის სახელობის მაღაროს მუშამ მ. ჩაჩანიძემ საშუალო სკოლა ოქროს medalზე დაამთავრა. გამოსაშვები გამოცდები წარმატებით ჩაბარეს და სიმწიფის ატესტატები მიიღეს აგრეთვე მოწინავე მუშებმა ვ. გოგატიშვილმა, ვ. ქურციკიძემ, ბ. კაპანაძემ, გ. გველესიანმა, გ. მალრაძემ, გ. შავდიამ, ლ. ქავთარაძემ, მ. აბაშიძემ და სხვებმა. ბევრ მათგანს განზრახული აქვს განაგრძოს სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში.

გაზეთების ფურცლებზე

ერთ-ერთ ფურცელზე

საინგვერეს ნაკვეთი

„თხუთმეტი წელია სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას ეწევა ლენინის სახელობის შახტის მოძრაობის უბნის მექანიკოსი, კომუნისტი ლევან კობეშავიძე. ამ ხნის მანძილზე მან სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინა. მისი საუბარი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ ფაქტებთან, საუბრის დროს ხშირად იყენებს თვალსაჩინოებას.

ამ ორ გაშლილ გვერდზე ვთავაზობთ წერილს აგიტატორ ლ. კობეშავიძის გამოცდილების შესახებ“ —

ასეთია შესავალი შენიშვნით გაზეთმა **„ტყიბულის მაღაროელმა“** თავისი 21 ივნისის ნომრის ორიგე შიგნითა გვერდზე გამოქვეყნა გაშლილი მასალა მოწინავე ტყიბულელი აგიტატორის ლ. კობეშავიძის შესახებ. ეს არის საინტერესო, ხალისიანი ნაამბობი, თუ როგორ უბრალოდ, სადად გამოესაუბრა აგიტატორი მსმენელებს, როგორ მიუხვდა მათ, თუ რა საკითხებზე უფრო აინტერესებდათ საუბარი და როგორ მოსწრებულად გაუღვივა თავის ახალგაზრდა მსმენელებს მორიგი საგიტაციო საუბრებისადმი ინტერესი.

აი დაამთავრა აგიტატორმა მორიგი საუბარი და მსმენელებს მიმართა:

— „მაშ ასე, გადავწყვიტეთ ხვალ საღამოს 5 საათზე აქვე მორიგი საუბარი მოვაწყოთ ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის შახტების ისტორიის შესახებ, ახალ ხუთწლედში მათ წინაშე დასახული ამოცანების შესახებ. ვისაუბრებთ აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ახალ ამბებზე, ჩვენი შახტის მუშაობის შესახებ ზოგიერთ უკანასკნელ ცნობაზე... შეკითხვა ხომ არა გაქვთ?

ახალგაზრდა მეშახტეები აიშალნენ, ოთახიდან გავიდნენ... დარჩა მხოლოდ ოთხი კაცი, ეტყობოდათ რადაც უნდოდათ ეთქვათ...

— თქვენ ალბათ შეკითხვები გაქვთ, — მიმართა მათ აგიტატორმა.

— დიახ, გვაინტერესებს, როგორ ხდებოდა ქვანახშირის ამოღება ძველ დროს?

— როგორი იყო მეშახტეების ხელფასი წინათ?

— ვის ეკუთვნოდა ტყიბულის მაღაროები? ასე რიგიგობით შეეკითხნენ აგიტატორს მსმენელები ჯ. ჩაფიძე, გ. გოგოლაძე და რ. ქევანიშვილი“.

სწორედ მაგ საკითხებზე გვექნება შემდგომში საუბარი და მოდით, პასუხს მოისმენთ, თქვა აგიტატორმა.

მოაღწია მორიგი საუბრის დაწყების საათმა. მსმენელებით აივსო ოთახი. მოვიდა აგიტატორიც. მას მოჰყვნენ ძველი ტყიბულელი მეშახტე, სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრე ქასრაძე და ახალგაზრდა მეშახტეთა წარმომადგენელი ანტონ ვარდოსანიძე. აგიტატორმა საუბარი დაიწყო. იგი მოუთხრობდა მსმენელებს საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარ გარდაქმნათა შესახებ, ტყიბულის სამრეწველო რაიონისა და ქალაქ შახტების ისტორიას („ქვანახშირის ამოღების დაწყების პირველ წელს — 1845 წელს — ტყიბულში ამოიღეს 48 ტონა ქვანახშირი, ე. ი. იმდენი, რამდენსაც ახლა ერთი მნგრეველი ერთ დღეში ძღლევა“). აგიტატორი განაგრძობდა ცნობების მოყვანას იმის შესახებ, თუ როგორ თანდათანობით, განუხრელად იზრდებოდა და იზრდება ტყიბულში ქვანახშირის ამოღება, როგორ ინერგება ახალი ტექნიკა, იუმჯობესდება მეშახტეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, მათი შრომის ნაყოფიერება და რა დიდად ფასდება ჩვენში მეშახტის შრომა.

„— ასეთია მოკლედ, — დასასრულ აგიტატორმა, — ტყიბულში ქვანახშირის ამოღების განვითარების ციფრობრივი მაჩვენებლები... თქვენ კი გინდათ იცოდეთ უფრო მეტი. ამისათვის თქვენთან მოვიდა ძველი დროების მომსწრე მეშახტე ალექსანდრე ქასრაძე, რომელსაც მრავალი ათეული წელი უმუშავნია შახტში...“

და აი აგიტატორმა სიტყვა მისცა ა. ქასრაძეს. მან დაიწყო:

— სწორედ თქვენი ხნისა ვიყავი, როდესაც აქ მუშაობა დავიწყე, და ახლა ხედავთ, რომ მოხუცი ვარ. მაგრამ ძველი დრო გუშინდელი დღესავით მახსოვს. 40 წლის წინათ აქ არ იყო შახტი, იყო გვირაბი, საიდანაც გამოგვქონდა ქვანახშირი. მაშინ კერძო მესაკუთრე კაპიტალისტი იყო ჩვენი ბატონ-პატრონი. არაფრით გვზოგავდა: გვამუშავებდა დღეში 12-14 საათს, გვაძლევდა მეტად მცირე ხელფასს... არც აბანო გვქონდა, არც სასადილო, არც ღამის გასათევი ბინები...

— აბა სად ათევდით ღამეს? — გაკვირვებით წამოიძახა ერთმა უკანა რიგიდან.

— ღამეს ჩვენსავე გაკეთებულ კარვებში ვათევდით. თითო კარავში 60-80 კაცი ვიყავით... ასე იყო ძველად, მეფის დროს, მაგრამ უკეთესი პირობები არც მენშევიკების დროს — ყოფილა... ახლა ჩვენი შახტი აღჭურვილია ძვირფასი სამთო მექანიზმებით. წინათ წარაქვთ ვჩიჩქნიდით ქვანახშირის ფენს, ახლა ელექტრობურღებს და მომნგრევ ჩაქუჩებს ვიყენებთ, წინათ ცხენით გამოგვქონდა ქვანახშირი მაღაროდან, ახლა სამახტო ელექტრომავლებით გამოგვაქვს“.

ინტერესით მოუსმინეს ახალგაზრდებმა აგრეთვე თავიანთ ტოლ მეშახტეს, ტყიბულის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში კურსდამთავრებულ ა. ვარდოსანიძეს. მან ილაპარაკა მიუხედავ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ახალგაზრდა მეშახტეების ბრძოლის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ იმაღლებენ კვალიფიკაციას, აუმჯობესებენ მუშაობის მეთოდებს.

— გამომუშავება რამდენი გაქვს? — ჰკითხა ხა ერთმა მსმენელმა. ა. ვარდოსანიძემ საანგარიშო წიგნაკი ამოიღო, გადაშალა და ყველას უჩვენა: 3.460 მანეთი ერთ თვეში, 4.750 მანეთი — მეორე თვეში, 5.310 მანეთი — მესამე თვეში. „ოჰო“ — წამოიძახეს მსმენელებმა...

კარგად მიგნებულ საკითხზე მოფიქრებულად გაკეთებული და აგიტატორებისათვის სახელმძღვანელოდ გამოსადეგი მასალა მიაწოდა „ტყიბულის მაღაროელმა“ ამ წერილის სახით თავის მკითხველებს, ტყიბულელ აგიტატორებს.

სტუდენტები საწარმოო პრაქტიკაზე

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში მეტალურგთა ქალაქში ჩამოვიდა კიროვის სახელობის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 70-ზე მეტი სტუდენტი.

პრაქტიკანტები სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის, ბლუმინგის, მილნამზადის, მილსაგლინავ და საყალიბე-სამსხმელო საამქროებში გაეცნობიან ფოლადის დნობის, გაგლინვისა და ყალიბებში ჩამოსხმის ტექნოლოგიურ პროცესებს, მოისმენენ ქარხნის საუკეთესო სპეციალისტების კონსულტაციას მეტალურგიული წარმოების სხვადასხვა საკითხებზე.

უკრაინელი კომპოზიტორები საქართველოში

ორი მოძმე ხალხის მუსიკოსთა მეგობრობა

ანდრია შტოგარენკო,

უკრაინის სსრ საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი.

ყველანი ძალიან გაგვახარა ცნობამ, რომ უნდა გამოვმგზავრებულიყავით საქართველოში — ქვეყანაში, სადაც ზღაპრული ბუნებაა, სადაც გველოდა ახალი შეხვედრა იშვიათი სტუმართმოყვარეობით ცნობილ ხალხთან, რომელმაც უკვდავყო თავისი თავი საუკუნეობრივ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის, რომელმაც მსოფლიოს მისცა პლეადა დიდი ადამიანებისა და შექმნა მრავალფეროვნებითა და სილამაზით შესანიშნავი სიმღერები და ცეკვები.

თვითეულმა ჩვენგანმა დიდი პასუხისმგებლობით იკისრა დავალება — გაეცნო საქართველოს საზოგადოებრიობის ფართო ფენებისათვის თანამედროვე უკრაინული მუსიკა.

ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ჩასახვა შორეულ წარსულს ეკუთვნის. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულეს თავიანთ ხალხებს შორის მეგობრული კავშირის განმტკიცების საქმეში დავით გურამიშვილმა და ლესია უკრაინკამ, ტაკი წერეთელმა და ტარას შევჩენკომ.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა ცარიზმის მიერ ჩაგრული ხალხები და უაღრესად ფართო ასპარეზი გადაუშალა მათ ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ხელოვნების ზრდისა და ჰუმანიტი აყვავებისათვის. ცხოვრების ყველა დარგში — შრომაში, მეცნიერებაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში — გამოცდილების გაზიარება, რაც ტრადიციად იქცა, მომძე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებისათვის იმის მძლავრი საშუალება გახდა, რომ წარმატებით განახორციელონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდი გეგმა.

უკრაინელი ხალხი მუდამ დიდი ინტერესით ელის მომძე საქართველოს ხელოვნების წარმომადგენელთა ჩასვლას უკრაინაში. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა წარმატება ჰქონდა უკრაინაში საქართველოს წამყვანი თეატრის — რუსთაველის სახელობის თეატრის გამოსვლებს, რა აღტაცებით ხვდებოდნენ ყველგან ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს, რომელსაც ხელმძღვანელობენ ქორეოგრაფიის გამოჩენილი ოსტატები — ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, აგრეთვე სხვა მომღერალთა და მოცეკვავეთა კოლექტივებს, რომლებიც უკრაინელ მაყურებლებს აცნობდნენ უმდიდრესი ქართული ხალხური ხელოვნების ახალ და ახალ ნიმუშებს.

ჩვენ, უკრაინელი კომპოზიტორები, ყურადღებით ვადევნებთ თვალს საბჭოთა საქართველოში მუსიკალური შემოქმედების განვითარებას. ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასია სახელები ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლების ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის და დიმიტრი არაყიშვილისა, რომლებმაც კომპოზიტორული ოსტატობის შესანიშნავი სკოლა შექმნეს.

ზ. ფალიაშვილის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ დიდხანს იდგმებოდა უკრაინის ოპერის თეატრების სცენებზე, მ. ბალანჩივაძისა და დ. არაყიშვილის პოეტური რომანსები საუკეთესო უკრაინელ ვოკალისტთა კონცერტების პროგრამებს ამშვენებენ.

უკრაინელ მსმენელებში დიდი წარმატებით სარგებლობენ ქართველ კომპოზიტორთა შემდგომი თაობების ნაწარმოებნი: ანდრია ბალანჩივაძის მეორე სიმფონია და კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, შალვა მშველიძისა და გრიგოლ კილაძის სიმფონიები, ალექსი მაჭავარიანის კონცერტი ვიოლინოსათვის და რომანსები, ოთარ თაქთაქიშვილის სიმფონია და კონცერტი როიალისა და ორკესტრისათვის.

ცალკე მინდა შევეხო ორი ნიჭიერი ახალგაზრდა კომპოზიტორის — ს. ცინცაძისა და ა. ჩიმაკაძის შემოქმედებას. სულხან ცინცაძეს, როგორც კომპოზიტორს, უყვარდა დიდი მომავალი აქვს. მისი კვარტეტები და ხემიანი ანსამბლებისათვის დაწერილი მინიატიურები გვაოცებენ ხალხური მელოსის საკვირველი შეგრძნობით, მასში ჩაწვდომის უნარით, ხემიანი ინსტრუმენტების ბუნების შესანიშნავი ცოდნით.

არჩილ ჩიმაკაძის კანტატას „ქართლის გულს“ უკრაინის საზოგადოებრიობა ამ ცოტა ხნის წინათ გაეცნო. ეს შთაგონებული ნაწარმოები, რომელიც დიდი ეპიური ტილოს ფორმით არის დაწერილი, შთაბეჭდილებას ახდენს, იმ დიდი ძალით, რომლითაც ავტორმა შეძლო მხატვრული მუსიკალური ფორმებით აესახა ყოველი საბჭოთა ადამიანის აღმაფრთოვანებელი მგზნებარე სიყვარული და ერთგულება თავისი აყვავებული სოციალისტური სამშობლოსადმი.

უკრაინელმა კომპოზიტორებმა მთელი რიგი ნაწარმოებები დაწერეს ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის ურღვევი მეგობრობის თემაზე. ამ ციკლს ეკუთვნის ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსების ტექსტზე დაწერილი რომანსები, რომლებიც შექმნეს კომპოზიტორებმა ანდრია ლაზარენკომ, იაკობ ცეგლერმა, აგრეთვე ჩემი ნაწარმოები „მეგობრობა“ ვოკალური ტრიოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ეს ნაწარმოები დაწერილია სიმონ ჩიქოვანის იმ ლექსის ტექსტზე, რომელიც დავით გურამიშვილისადმია მიძღვნილი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე დაეხმარნენ უკრაინელ კომპოზიტორებს მოეშორებინათ დეკადენტობისა და ფორმალიზმის ტვირთი, რომელიც ტვინთა საბჭოთა ხელოვნებისათვის, და ამით რეალიზმის ფართო გზაზე გამოსულიყვნენ. ამჟამად ჩვენი კომპოზიტორებისა და მუსიკათმცოდნეების შემოქმედებითს აქტივში 120-ზე მეტი კაცია. მათს უფროს თაობას უნდა მივაკუთვნოთ: სტანისლავ ლუტკევიჩი, ფილიპე კოზიცკი, ლევ რევუცკი, მიხეილ ვერიკოვსკი და ბორის ლიატოშინსკი.

შუა თაობას ეკუთვნიან კომპოზიტორები: ნიკოლოზ კოლესა, კონსტანტინე დანკევიჩი, ვლადიმერ ნახაბინი, თეოდორე ნადენენკო, ანატოლი სვეჩნიკოვი, კლიმენტი დომინჩენი, ანდრია შტოგარენკო. ნიჭიერი ახალგაზრდობის კომპოზიტორული ხელოვნების წარმომადგენლები არიან: გერმანე ეუკოვსკი, ვადიმ გომოლიაკა, არკადი ფილიპენკო, ძმები გიორგი და პლატონ მაიბოროდები.

უკანასკნელ წლებში იდეოლოგიურ ფრონტზე, მათ შორის მუსიკის დარგში ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ ისტორიულ დადგენილებათა შემდეგ უკრაინელმა კომპოზიტორებმა შექმნის სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი. მათგან უმაღლესი შეფასება — სტალინური პრემია დაიმსახურა: ა. ფილიპენკოს „სიმფონიამ კვარტეტმა“, ა. სვეჩნიკოვის სიმფონიურმა პოემამ „შორსმა“, რომელიც მიძღვნილია უკრაინელი ხალხის ერთგული შვილის საგმირო საქმეებისადმი სამოქალაქო ომის პერიოდში, ვ. გომოლიაკას „იმპერკარპატის ესკიზებმა“ სიმფონიური ორკესტრისათვის, გ. ეუკოვსკის პატრიოტულმა კანტატამ სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის „იდიდე, სამშობლოვ ჩემო!“, ა. შტოგარენკოს სიუიტამ „ლესია უკრაინკას ხსოვნას“, რომლის სამი ნაწილის საპროგრამო შინაარსია ეპიგრაფები პოეტის ლექსებიდან, და ახალგაზრდა კომპოზიტორ პლატონ მაიბოროდას მიერ ნიჭიერად დაწერილმა სიმღერა-პორტრეტებმა უკრაინის აყვავებული საკოლმეურნეო მინდვრების შრომის გმირებზე.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში უკრაინელმა კომპოზიტორებმა ორი ოპერა დაწერეს.

კ. დანკევიჩმა და ლიბრეტოს ავტორებმა ვ. ვასილევსკაიამ და ა. კორნეიჩუკმა დაამთავრეს მუშაობა ისტორიულ-საგმირო ოპერის „ბოგდან ხმელნიცკის“ ახალ რედაქციაზე. ოპერა ამას წინათ აჩვენა კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის და საქართველოს ფილარმონიის სოლისტებმა. მოძმე საქართველოს რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენლები გულისხმიერად და მზრუნველად მოეკიდნენ მათთვის დაკისრებულ ამოცანას და დახვეწილი შესრულებით დიდი როლი ითამაშეს ნაწარმოებთა იდეური და მხატვრული ჩანაფიქრის გასხნის საქმეში.

გულწრფელი, გულთბილი შეხვედრა, რაც ჩვენმა თანამოკალმეებმა და თბილისის საზოგადოებრიობამ აღმოგვიჩინეს, ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს ნამდვილ შემოქმედებითს კავშირს ქართველ ხალხთან.

ჩვენ ვტოვებთ საქართველოს მშვენიერ დედაქალაქს, აღსავსენი მდიდარი შთაბეჭდილებებით, იმ დიდი იმედით, რომ უახლოეს ხანში შევხვდებით ჩვენს ძვირფას მეგობრებს უკრაინაში. ბედნიერი ვიქნებით, თუ ჩვენი შეხვედრები უფრო ხშირად, სისტემატურად მოხდება. ეს შეხვედრები ქმედითი ფაქტორი იქნება საბჭოთა ადამიანების, ქართველი ხალხის და უკრაინელი ხალხის მუსიკალურ კულტურათა შემდგომი ზრდისა და განვითარების საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა კომპოზიტორი იგორ ზნაბოკოვის მიერ შექმნილი სავიოლინო კონცერტი, ხარკოველ კომპოზიტორ ბორის იარეინსკის — სიმფონიური პოემა, კიევის კონსერვატორიის ასპირანტის ვლადიმიროვ-შჩეროვსკის სიმფონია, აგრეთვე თვითმოქმედ ავტორთა მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებანი. ყოველივე ეს მოწმობს საბჭოთა უკრაინის მუსიკალური კულტურის განუხრელ ზრდასა და აღმავლობას.

ჩვენს ამ საგაზეთო წერილში მოხსენებული ზოგიერთი ნაწარმოები ამ დღეებში შესრულებულ იქნა თბილისში. მათს ჩვენებ

ჩაის ფოთლის უხვ მოსავალს იღებენ წელს მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში. აქ კარგად უვლიან ჩაის ბუჩქებს. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ზუგდიდელთა წინადადებას მოეწყოს სოციალისტური შეჯიბრება ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის. მათი ვალდებულებაა წლიური გეგმის გადამეტებით წელს მრეწველობას მისცეს 200 ტონა ნედლეული. მეურნეობის მუშები, მოსამსახურეები, სპეციალისტები სეზონის დაწყებისთანავე წარმატებით შეუდგნენ ჩაის კრეფას. მათ მაისსა და ივნისის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს, მტკიცედ დაფრეგეს ჩაის განუწყვეტელი კრეფა. მეურნეობას მრავალი მოწინავე მკრეფავი ყავს. **სურათზე:** სტახანოველი მ. ოდილავაძე, რომელიც ჩაის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად და სამმაგად ასრულებს.

ფოტო ვ. ზარიძისა

მკითხველთა წერილები

რაზომ არ არის ლიზერატურა საწარმოო-ზექნიკურ საკითხებზე

საწარმოო ტექნიკური ლიტერატურის გამოცემის საქმე საქართველოში, შეიძლება ითქვას, სრულიად მოუწესრიგებელია. ამავე დროს ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ქვეყანაში, მასების შემოქმედებითი აზრი უმაგალითო აღმავლობით მუშაობს, დღითიდღე იზრდება ნოვატორთა რიგები, წარმოებაში ინერგება მრავალი სიახლე, უმჯობესდება ტექნოლოგია.

შეიძლება დავასახელოთ იმის მრავალი მაგალითი, რომ ამა თუ იმ პროფესიის ნოვატორებმა ითვისეს ცალკე საწარმოო ოპერაციათა შესრულების ოსტატობა, გამოიმუშავეს მაღალნაყოფიერად მუშაობის ხერხები. ასეთი მიღწევები, უკეთეს შემთხვევაში, — მხოლოდ ადგილობრივი საწარმოო კოლექტივის კუთვნილებად რჩება. ჩვენი ამოცანა კი ის არის, რომ მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდები ყველა საწარმოს, მთელი რესპუბლიკის სტახანოველ მუშათა საკუთრებად გადავაქციოთ.

რამდენადაც ჩვენ მცირე ფორმის საწარმოო-ტექნიკური ლიტერატურის გამომცემლობის მდგომარეობას გავეცანით, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ“ ვერ გაართვა თავი ამ საქმეს. მან ვერ შეძლო გამოეცა პატარა, ილუსტრირებული, მუშებისათვის გასაგებად დაწერილი ბროშურები წარმოების ნოვატორების გამოცდილების შესახებ.

საჭიროა მოწესრიგდეს სტახანოველთა გამოცდილების შესახებ ლიტერატურის გამოცემის საქმე. ამას მოითხოვს მრეწველობის ზრდის ინტერესი.

კ. ილურიძე,
ა. მარგველაშვილი,
ვ. ბაისოფაშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველები.

მშვენიერი პარკი მივიწყებულია

ქალაქ ზუგდიდში მშვენიერი პარკია. ყურადღებას იპყრობს ვეებერთელა ქადრების, კვიპაროზების, მაგნოლიების დიდებული ხეივნები, სანაოსნო აუზი და მის ირგვლივ მარად მწვანე ტყე-პარკი, სადაც ქალაქის მშრომელებს შეეძლოთ კულტურულად დაესვენათ. მაგრამ საზაფხულო სეზონს პარკი, სამწუხაროდ, მოუმზადებელი შეხვდა, იგი კეთილმოუწყობელია, წინათ არსებული მხატვრული თვითმოქმედი წრეები, ესტრადა და საცეკვაო მოედანი არ მოქმედებენ. პარკში არ არის ელექტროგანათება, სკამები და ამიტომ საღამოობით დამსვენებლები შესვლას თავს არიდებენ.

ტყე-პარკი მშრომელთა კულტურული დასვენების სამსახურში უნდა იქნას ჩაყენებული.

ვ. ჩაჩიბაია.

ზაღვერში, დამსვენებლებთან

კურორტი ზაღვერი თავისი წარმტაცი ბუნებითა და ჯანსაღი ჰაეროთ მრავალ დამსვენებელს იზიდავს. მისი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი პოპულარობით სარგებლობენ ჩვენს რესპუბლიკაში.

კარგად მუშაობს ბავშვთა სანატორიუმი, სადაც ყოველთვიურად ასობით ბავშვი ისვენებს. ბავშვთა ნორმალური დასვენებისა და მკურნალობისათვის სანატორიუმში ყველა პირობაა შექმნილი. სანატორიუმი მომზადებული შეხვდა სეზონს. კაპიტალურად შეკეთდა მთავარი კორპუსი, დადგეს ახალი ოუმელები, მაცივარი და სხვა საჭირო მოწყობილობა.

დამსვენებელთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს დასასვენებელი სახლი „კეჩობი“, რომელშიც ერთდროულად თვეში 500-მდე კაცი ისვენებს.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ბავშვთა სანატორიუმებს ზოგჯერ ელექტროენერგიას არ აწვდის ბორჯომის ელსადგური, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ნ. უთურაშვილი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„არასახარბიელო შედეგები“ — ამ სათაურით „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 26 მაისის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ზნაურის რაიონის ოქონის სასოფლო საბჭოს ტერიტორიულ პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრეში და თერეგვნის საკოლეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ საერთო განათლების ჯგუფში შემაჯამებელი მეცადინეობების არასახარბიელო შედეგებს.

პარტიის ზნაურის რაიკომის ბიუროომ სწორად ცნო გაზეთის კრიტიკა. პროპაგანდისტებს ლ. მახარაძესა და მ. ჯიოევს გაფრთხილება მიეცათ შემაჯამებელი მეცადინეობების დაბალ იდეურ დონეზე ჩატარებისათვის.

რაიკომის ბიუროომ დასახა ახალ სასწავლო წელს პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

* * *

„ჩამორჩენა დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს“ — ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 24 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მხილებული იყო წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობათა ჩამორჩენა და ნაკლოვანებანი ჩაის ფოთლის კრეფის, ჩაის პლანტაციების დამუშავების და ჩაის გასაშენებლად ნიადაგის მომზადების საქმეში.

პარტიის წყალტუბოს რაიკომი გვატყობინებს, რომ კრიტიკა სავსებით სწორია. რაიკომის ბიუროომ განიხილა კორესპონდენციაში მხილებული ნაკლოვანებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

საერთაშორისო ავანგიუარებსა და მშვიდობის დაცვაზე

მას შემდეგ, რაც სკანდალურად ჩაიფუშა უცხოეთის დაქირავებული აგენტების პროვოკაცია ბერლინში, ამერიკის ბურჟუაზიულმა პრესამ, რომელსაც მხარს უჭერს ინგლისის პრესის ნაწილი, მყვირალა ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღა და ყოველნაირად აზვიადებს ამ ავანტიურას. ამერიკის რეაქციული პრესა აშკარად მოუწოდებს 17 ივნისის ფაშისტური არეულობის ორგანიზატორებს ერთხელ კიდევ გაიმეორონ ეს „ცდა“ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და, უფრო მეტიც, გაავრცელონ იგი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე.

წაქეზების ამ პროვოკაციულ კამპანიაში აქტიურად ჩაებნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, თავიანთ მყვირალა, სენსაციისათვის გამიზნულ სიტყვებში ამერიკის კონგრესის წევრები ჰემფრი, ფერგიუსონი, მენსფილდი, მუხდტი, უაილი რჩევას აძლევენ მთავრობას ყველა ღონისძიებით და დაუყოვნებლივ გამოიყენოს „ძვირფასი შესაძლებლობა“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს თითქოს მიეცათ ბერლინის პროვოკაციის შედეგად. სენატორმა მუნდტმა, რომელიც მოუწოდებს სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის გაძლიერებისაკენ, განაცხადა: „ჩვენ ყველგან უნდა ვაყრიდეთ მარილს ჭრილობებს, სადაც უნდა არსებობდეს ეს ჭრილობები“. სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე უაილი, რომელიც ქება-დიდებას ასხამს დალესის პოლიტიკას, მიმართულს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ფართოდ მოწყობისაკენ, იქამდე მივიდა, რომ თავხედურად დაიწყო ჩამოყალიბება სასაცილო „მოთხოვნებისა“, რომლებიც, მისი აზრით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირს უნდა წაუყენონ.

მაგრამ საქმე ამერიკის ბურჟუაზიული პრესის და ყველაზე აგრესიულად განწყობილი, მაგრამ მცირემცოდნე კონგრესმენების წამქეზებელი მოწოდებებით როდი იზღუდება. მათი გამოსვლებისაგან ბევრად არ განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ გამოთქმული აზრები. ჯერ სახელმწიფო მდივანმა დალესმა, შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, საჯაროდ დაუჭირეს მხარი პრესისა და კონგრესმენების ცილისმწამებლურ მონაჟორებსა და წამქეზებელ მოწოდებებს. ამასთან დალესმა გულახდილად გამოთქვა აზრი, რომ ამერიკამ უნდა გააძლიეროს ძირგამომთხრელი საქმიანობა მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, მაშინ როცა ეიზენჰაუერის განცხადებაში მოწოდება სხვა სახელმწიფოთა საქმეებში უბოდიშო ჩარევისადმი დემაგოგიურად დაფარულია ბუნდოვანი ფრაზით. ამასთან ისინი გულუბრყვილობას იჩენენ და ჯერეროვნად ვერ აფასებენ იმას, თუ ყველაფერი ეს როგორ შეიძლება შეტრიალდეს თვით მათ წინააღმდეგ, არეულობას, შეშფოთებისა და აგრესიის ყველა ამ მთესველთა წინააღმდეგ.

რა იფარება ამერიკის პრესის პროვოკაციული კამპანიით, ამერიკელ კონგრესმენთა ცილისმწამებლური და წამქეზებელი სიტყვებით, იმ სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლებით, რომლებიც ქადაგებენ დემოკრატიული სახელმწიფოების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის გაძლიერებას?

ყოველივე ამით უწინარეს ყოვლისა იფარება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აშკარა შეშფოთება მათი საგარეო პოლიტიკის — ყბადაღებული „ძალის პოლიტიკის“ ჩაფუშვის გამო. მარცხი განიცადა დალესის „მტკიცე კურსმა“, რომლის მიზანია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა უსიტყვოდ დამორჩილება ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობისადმი, საბჭოთა კავშირის იზოლაცია და რომელსაც ფართოდ უწევენ რეკლამას. ამას ახლა აშკარად აღიარებს ამერიკის ბურჟუაზიული პრესის ნაწილიც კი. როგორც ცნობილია, დალესის ულტიმატუმი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი, რომლითაც იგი მოითხოვდა 75 დღის ვადაში მოეწერათ ხელი ხელშეკრულებისათვის „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, — ულტიმატუმი, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯერ კიდევ იანვრის დამლევსა და თებერვლის დამდეგს წამოიწყო თავისი პირველი ტურნე ევროპაში, — უარყოფილ იქნა. ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ შებრუნდა იმის ცდაც, რომ შანტაჟი გაეწიათ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებისათვის ეგრეთწოდებული „უცხო სახელმწიფოებისადმი დახმარების“ ანგარიშში ასიგნობათა დაპირებით. ევროპის ქვეყნების ნაწილმა უარი თქვა ამ „დახმარებაზე“, სხვებმა „დახმარების“ ნაცვლად მოითხოვეს ვაჭრობის პირობების შემსუბუქება, რაზეც ამერიკის მონოპოლიებს არა სურთ დათანხმდნენ. დალესმა ვერ აღმოფხვრა აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობა — უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის — შორეულ აღმოსავლეთში განსახორციელებული პოლიტიკის საკითხებზე. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ნაცვლად იმისა, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკა დამორჩილებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს, მათ შორის გაძლიერდა და გამწვავდა უთანხმოება. გათიშვა ინგლის-ამერიკის ბლოკის ბანაკში იზრდება და ფართოვდება.

კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმ აშკარა ფაქტს, რომ ამერიკის დიპლომატიის ყველა ცდა — მოეხდინა საბჭოთა კავშირის იზოლაცია — სრული მარცხით დამთავრდა. საბჭოთა მთავრობის მიერ მარტის შუა რიცხვებში გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ ამჟამად არ არის ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის ვადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, მოწონებით შეხვდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის სულ სხვადასხვა წრეებში. ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების მმართველ წრეებშიც კი საბჭოთა კავშირის ინიციატივამ კეთილგანწყობილი გამოხმაურება ჰპოვა. სადავო საერთაშორისო საკითხების მოლაპარაკების გზით მოწესრიგებისათვის მოძრაობა იმდენად გაფართოვდა და ყველგან გავრცელდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ხელმძღვანელობა იმის შიშით, რომ იზოლირებული არ აღმოჩენილიყვნენ, საჭიროდ ჩათვალეს როგორღაც გამოხმაურებოდნენ ამას.

16 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ამერიკის რედაქტორთა საზოგადოებაში წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან „იკისრონ სამართლიანი წილი“ სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრისას. მაგრამ ეიზენჰაუერმა იქვე მოუთმირებლად წაამოაყენა მთელი რიგი წინასწარი მოთხოვნები საბჭოთა კავშირისადმი, რომელთა შესრულება, მისი აზრით, წინ უნდა უძღოდეს სადავო საკითხების მოწესრიგებას. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა მოითხოვეს, რომ მოლაპარაკების წარმოებაზე მათი უბრალო თანხმობა აენაზღაურებინათ მათთვის მთელი რიგი სერიოზული დათმობებით.

ტაქტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეებისა, რომლებმაც მშვიდობისათვის და მთავრობებს შორის მოლაპარაკებისათვის ხალხთა მზარდი მოძრაობის შიშით წამოაყენეს ეგრეთწოდებული „წინასწარი პირობები“, დაგმეს ყველა ქვეყნის ფართო საზოგადოებრივმა წრეებმა და დასავლეთ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა. კარგად ესმით რა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი დატოვება აძლიერებს ამ ქვეყნების როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, აღნიშნული მოღვაწეები არ ფარავდნენ თავიანთ სურვილს, რომ, ბოლოს, დაიწყოს სადავო საერთაშორისო საკითხების მოწესრიგება.

ეს სურვილი ყველაზე მკაფიოდ ჩანდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის ცნობილ სიტყვაში. ჩერჩილმა აზრი გამოთქვა იმის სასარგებლოდ, რომ დიდ სახელმწიფოებს შორის დაიწყოს მოლაპარაკება წინასწარი პირობების წაუყენებლად. ჩერჩილის ინიციატივას, როგორც ცნობილია, თითქმის ყველგან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. მხოლოდ ვაშინგტონში, როგორც ამერიკის პრესა იუწყებოდა, მან იმედის გაცრუება და მტრული კომენტარები გამოიწვია.

ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში მათს მთავარ პარტნიორს შორის არსებობს სერიოზული უთანხმობა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში. როგორც ჩანს, უთანხმობის შენელებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ საერთო ხაზის დასახვის მიზნით პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების ხელმძღვანელებს წინადადება მისცა შეხვედროდნენ მას ბერმუდესის კუნძულებზე.

ბერმუდესის თათბირი, რომელიც თავდაპირველად ივნისის შუა რიცხვებისათვის იყო დანიშნული, არა ერთხელ გადაიდო. ახლა, ჩერჩილის ავადმყოფობასთან დაკავშირებით, ბევრნი ეჭვს გამოთქვამენ, რომ იგი საერთოდ როდისმე მოეწყოს. როგორც ამერიკის გაზეთები იუწყებიან, როცა ვაშინგტონში შეიტყეს ამ თათბირის მოწვევის გეგმების ჩაშლა, შვებით ამოისუნთქეს, თუმცა ამ თათბირის მოწვევის ინიციატივა, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეკუთვნოდა. რატომ? იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის უთანხმობა იმდენად გაიზარდა, რომ იგი არ შეიძლება აღმოიფხვრას მთავრობების ხელმძღვანელთა მორიგი შეხვედრის საშუალებით.

მთავრობების მეთაურთა თათბირის ნაცვლად ვაშინგტონში იკრიბება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ამ თათბირის წინაშე დასახულია უფრო შეზღუდული მიზნები — გაარკვიოს დასავლეთ პარტნიორებს შორის სადავო საკითხები. როგორც ჩანს პრესის ცნობებით ამ თათბირის დღის წესრიგის შესახებ, ასეთი სადავო საკითხები ბევრია. მეტად დაბახასიათებელია, რომ ამერიკელი დიპლომატები ამჯობინებენ განიხილონ ის საკითხები, რომლებიც მათი ევროპელი პარტნიორების სამინაო საქმეებს ეხება, რაც, ბუნებრივია, უკმაყოფილებას იწვევს ინგლისსა და საფრანგეთში. ამავე დროს „მოსკოვის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის“ შექმნის საბაბით ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ცდილობენ საბოლოოდ აიღონ თავიანთ ხელში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა, ამასთან ანგარიშს არ უწევენ მათს არსებითს ეროვნულ ინტერესებს.

ეს მისწრაფება წინააღმდეგობას ხვდებოდა და ხვდება დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მმართველ წრეებშიც კი. ეს წინააღმდეგობა რომ დაძლიოს, ამერიკის დიპლომატია სულ უფრო ხშირად მიმართავს შანტაჟს, იმუქრება, რომ შეწყვეტს „დახმარების“ გაწევას, და იყენებს ყველა სახის ეკონომიურ და პოლიტიკურ ზეგავლენას.

ამასთან ამერიკის დიპლომატია ცდილობს დააშინოს თავისი მოკავშირენი, რისთვისაც მთელი ძალლონით აზვიადებს კამპანიას არარსებული „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ. ამასთან დაკავშირებით დამახასიათებელია ამერიკულ ჟურნალ „მანსლი რევიუს“ აღიარება. როგორც ამ ჟურნალმა ამას წინათ განაცხადა, საბჭოთა მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა „პანიკას“ იწვევს ამერიკის მმართველ წრეებში იმიტომ, რომ „ამჟამად საეჭვო ხდება არა სხვა რამ, არამედ მათი ბატონობა „თავისუფალ სამყაროზე“ (ხოლო, როგორც ცნობილია, „თავისუფალ სამყაროს“ ამერიკული პროპაგანდა ყალთაბანდურად უწოდებს აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ქვეყნებს). ჟურნალი „მანსლი რევიუ“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ უთანხმობა თავიანთ ბანაკში ყვირილით „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ. „ეს ვითომდა არსებული საფრთხე, — წერს ამერიკული ჟურნალი, — რომელსაც გულმოდგინედ აზვიადებენ და პროპაგანდას უწევენ მასობრივი აგიტაციის და უაღრესად ენერგიული რეკლამის ყველა შესაძლო თანამედროვე მეთოდის დახმარებით, წარმოადგენდა ცემენტს, რომელიც ადუღაბებდა ამერიკის ხელმძღვანელობაში მყოფ კოალიციას. „თავისუფალი სამყაროს“ ხალხებმა როდისმე რომ აღარ დაიჯერონ ამ საფრთხის რეალობა, კოალიციის პოლიტიკური საფუძველი შეირყევა და პოლიტიკის მთელი რთული შენობა... შეიძლება მოულოდნელად დაიქცეს“.

ასეთ განმარტებათა მიხედვით გასაგები ხდება, თუ რატომ გახშირდა უკანასკნელ ხანს ამერიკელ ხელისუფალთა მიერ მოწყობილი პროვოკაციები, რომლებიც აშკარად ნავარაუდევია იმისათვის, რომ შემდგომ გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება.

მეორე მხრივ, როცა იწყებდნენ ისეთ პროვოკაციებს, როგორიც იყო ავანტიურა ბერლინში, ამერიკელი ხელისუფალნი ცდილობდნენ ეჩვენებინათ თავიანთი მოკავშირეებისათვის, რომ დალესის ეგრეთწოდებულ „მტკიცე პოლიტიკას“ უკვე მოაქვს ნაყოფი. ამერიკელი დიპლომატები ცდილობენ დაარწმუნონ თავიანთი დასავლეთევროპელი პარტნიორები, თითქოს ავანტიურებისა და პროვოკაციების, საბოტაჟისა და დივერსიების მოწყობის მეთოდი შეიძლება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში, ვიდრე მშვიდობიანი მოლაპარაკების მეთოდი.

უცხოეთის დაქირავებული აგენტების ბერლინის ავანტიურის ჩაშლამ ჯერ ვერ ასწავლა მათს სულისჩამდგმელთ. ისინი ახლა [illegible] . . . რომ საჭიროა [illegible] ახალი [illegible] ტიულ რესპუბლიკაში, გაავრცელონ ეს არეულობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე და გამოიყენონ ეს ბანდიტურ-პროვოკატორული გამოხდომები საბჭოთა კავშირზე ზეგავლენის გასაძლიერებლად. რა ნაკლებად, რა ცუდად იცნობენ ისინი სსრ კავშირს!

ძნელი სათქმელია, რა არის აქ მეტი: თავხედობა, რომლითაც განირჩევა ყველა ავანტიურისტი, თუ სირეგვნე. ერთი რამ ცხადია: ადამიანები, რომლებიც ასეთ გეგმებს ადგენენ, სრულებით არ ითვალისწინებენ ძალთა რეალურ თანაფარდობას საერთაშორისო ასპარეზზე. ისინი ვერ ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა სულ უფრო ფართო მზარდაჭერას პოულობს მთელ მსოფლიოში, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ავანტიურისტულ პოლიტიკას ყველგან გმობენ, მას მხარს არ უჭერენ მათი დასავლეთევროპელი პარტნიორებიც კი.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ ნამდვილად დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მიმართ დიქტატის პოლიტიკას ჩაფლავების მეტი არაფერი მოუტანია ამ პოლიტიკის სულისჩამდგმელთათვის. ეტყობა, ამას ითვალისწინებდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი, როცა იგი თავის ცნობილ სიტყვაში გამოვიდა აქტუალური მოწოდებით, რომ სადავო საერთაშორისო პრობლემები გადაუდებლად მოწესრიგდეს მოლაპარაკების საფუძველზე, ამასთან არავითარი წინასწარი ვალდებულება არ დაეკისროს ამა თუ იმ ქვეყანას.

როგორც ცნობილია, „პრავდის“ სტატიაში ჩერჩილის გამოსვლის გამო გამოთქმული იყო კეთილმოსურნე დამოკიდებულება ამ ინიციატივისადმი სწორედ იმიტომ, რომ მას წინასწარი პირობები არ წამოუყენებია. იმ დროსვე „პრავდა“ გაფრთხილებას იძლეოდა იმ ელემენტარული შეცდომის წინააღმდეგ, რომ ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში „ერთ მხარეს თითქოს შეუძლია უკარნახოს მეორე მხარეს, თანაც ისეთ მხარეს, როგორიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირია, სადავო საერთაშორისო საკითხებზე შეთანხმების წინასწარი პირობები“.

ამ ელემენტარულ და სამართლიან მოთხოვნას უგულებელყოფენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები. ისინი ჯიუტობენ, აწყობენ ხან ბერლინის ავანტიურას ევროპის ცენტრში, ხან ლი სინ მანის პროვოკაციას კორეაში და ალბათ ამზადებენ ახალ ავანტიურებსა და პროვოკაციებს.

„ძალის პოლიტიკის“ უჭკუო დამცველებს ჰგონიათ, თითქოს მათი დაქირავებული აგენტების მიერ მოწყობილი ავანტიურებისა და პროვოკაციების და ამერიკის პროპაგანდის მიერ ამ პროვოკაციების გარშემო ატეხილი ხმაურის ვითარებაში ისინი უფრო ადვილად მოახერხებენ მიაღწიონ თავიანთ აგრესიულ მიზნებს და ყოველ შემთხვევაში მოახერხებენ შემდეგაც შეინარჩუნონ მათი მეცადინეობით შექმნილი დაძაბულობა საერთაშორისო ვითარებაში. ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ ეს ვარაუდები ბეცია და განწირულია ჩასაფუშავად.

საბჭოთა კავშირმა საკმაო გარკვეულობით ცხადყო თავისი კეთილი ნება — მისწრაფება სადავო საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებისაკენ. ვინ ვერ ხედავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 35 წლის განმავლობაში სსრ კავშირის საერთაშორისო პოზიციები უაღრესად განმტკიცდა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ერთად საბჭოთა კავშირი ამჟამად წარმოადგენს მთელ მსოფლიოში მშვიდობის ნამდვილად მძლავრ დასაყრდენს.

სწორედ ეს წარმოშობს შეშფოთებას იმპერიალიზმის ბანაკში და განსაკუთრებით მის აგრესიულ წრეებში. ისინი მზად არიან მოიწყონ სულ ახალი ავანტიურები და პროვოკაციები და გაიჩაღონ სულ ახალი საგაზეთო კამპანიები ამის გარშემო, ოღონდ როგორმე შეუშალონ ხელი საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შენელებას. მაგრამ ეს არათუ არ ნიშნავს მათი პოზიციის განმტკიცებას, არამედ წინააღმდეგს მოწმობს. ეს იწვევს აღნიშნული აგრესიული წრეების საერთაშორისო იზოლაციის სულ უფრო გაძლიერებას.

რაც შეეხება მთელი ამ კამპანიის ორგანიზატორებს, რომლებიც ესოდენ აშკარად უგულებელყოფენ ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, ისინი თავიანთი პოლიტიკით ისეთ ჩიხში ექცევიან, რომლიდანაც თავის დაღწევა კიდევ უფრო გაუჭირდებათ.

მიმოიხილველი.

„პრავდა“, 6 ივლისი.

საბჭოთა დიპლომატია ჩინეთში

პეკინი, 5 ივლისი. (საკდესი). განთავისუფლების შემდეგ სამნახევარი წლის მანძილზე ჩინურ ენაზე დიდი რაოდენობით ითარგმნა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებნი: „ახალგაზრდა გვარდია“, „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, „რეგითი ჯარისკაცი ალექსანდრე მატროსოვი“, „მოთხრობა ზოიასა და შურაზე“, „დღეები და ღამეები“, „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, „სინათლე დედამიწაზე“, „სამნი რუხი ფარაჯით“, მაიაკოვსკის ლექსები და ბევრი სხვა ნაწარმოები, აგრეთვე სხვა ქვეყნების პროგრესულ მწერალთა ბევრი ნაწარმოები. ხელახლა გამოიცა რუსული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის ბევრი ნაწარმოები: ლევ ტოლსტოის, დოსტოევსკის, კოროლენკოს, ბელინსკის, ჩეხოვის, ტურგენევის, ნიკოლოზ ოსტროვსკის, შოლოხოვის და სხვათა ნაწარმოებნი.

სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მხატვრულ ლიტერატურაზე მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად პეკინში ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა სრულიად ჩინეთის ასოციაციამ დაიწყო ყოველთვიური ჟურნალის „თარგმნილი ლიტერატურის“ („ივენი“) გამოცემა. ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებულია მაიაკოვსკის ლექსები — „მარცხენა მარში“, „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“, „ბლეკ ენდ უაიტ“-ის ახალი თარგმანები, ბორის პოლევოის მოთხრობები, კოროლენკოს მოთხრობა. სტატიები ჩერნიშევსკის შემოქმედების, საბჭოთა ლიტერატურის თვისებურებათა შესახებ, ჩეხოსლოვაკი მწერლის იან დრდას მოთხრობა და სხვა მასალები.

პოლონეთის კონსტიტუციისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ვარშავაში

ვარშავა, 5 ივლისი. (საკდესი). ვარშავაში მიმდინარეობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელიც მოიწვია პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიამ. სესიას ესწრებიან აკადემიკოსები, აგრეთვე ბევრი მეცნიერი და სხვა მიწვეულნი.

სესია გახსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის იუბილიანტ მეცნიერებათა კომიტეტის წევრმა ვაცლავ ბარციკოვსკიმ.

პირველ დღეს სესიის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება „საზოგადოებრივი საკუთრება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით“.

სესია გაგრძელდება 6 დღეს; ამ ხნის მანძილზე აგრეთვე მოსმენილ და განხილულ იქნება მოხსენებები: „სუვერენიტეტი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით“, „სახალხო კანონიერება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით“ და სხვ.

საერთაშორისო საღავო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრისათვის

ბელგიის მშვიდობის მოამხრეთა კრება ბრიუსელში

ბრიუსელი, 7 ივლისი. (საკდესი). 4-5 ივლისს ბრიუსელში გაიმართა ბელგიის მშვიდობის მომხრეთა კრება, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ბელგიის ყველა რაიონიდან ჩამოსული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები — მუშები, მოსამსახურეები, გლეხები, მასწავლებლები, პროფესორები, კომერსანტები, მეწარმეები, მღვდლები.

გახსნა რა კრება, ბელგიის მშვიდობის დაცვის კავშირის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა კოზინსმა აღნიშნა, რომ მშვიდობის მომხრეთა მთავარი ამოცანაა მიაღწიონ მთავრობების მოლაპარაკებას ყველა საღავო საერთაშორისო საკითხის გადაჭრისათვის და ამრიგად შეწყვიტონ ომი კორეაში, მალაიასა და ვიეტნამში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა იზაბელა ბლუმმა დამსწრეთ გააცნო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბუდაპეშტის სესიის გადწყვეტილებანი. ეს სესია, თქვა მან, აღინიშნა მშვიდობისათვის მებრძოლთა დიდი წარმატებით და მშვიდობის ძალების განმტკიცებით.

ბლუმმა აღნიშნა სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობების სამშვიდობო ინიციატივა და განაცხადა, რომ მშვიდობის მოწინააღმდეგენი ცდილობენ ხელი შეუშალონ საერთაშორისო ვითარების დასახულ გაუმჯობესებას. მან გადაჭრით დაგმო ფაშისტური პროვოკაციები ბერლინში; საბოტაჟი ლი სინ მანის ხროვისა, რომელიც ცდილობს ჩაფშოს საზავო მოლაპარაკება კორეაში, ცოლქმარ როზენბერგების სასამართლო მკვლელობა, მოუწოდა დამსწრეთ გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, გამონახონ მუშაობის ახალი ქმედითი ფორმები, რათა ყველა ქვეყნის მთავრობები და კერძოდ ბელგიის მთავრობა დაიყენონ საღავო საკითხების გადასაწყვეტად მშვიდობიანი მოლაპარაკების გზაზე, უარი ათქმევინონ მთავრობებს იმაზე, რომ დაამტკიცონ ხელშეკრულება „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ, რომელიც ბელგიას, ისე როგორც სხვა ქვეყნებს, წაართმევს ეროვნულ დამოუკიდებლობას, გამოიწვევს რევანშისტული ვერმახტის აღორძინებას და ახალ სისხლისმღვრელ ომს.

ბლუმმა წინადადება შეიტანა პირველ რიგში მოეწყოს ხელმოწერის შეგროვება პეტიციაზე, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით.

კრებამ მოუწოდა ყველა ბელგიელს მოითხოვონ, რომ მთავრობამ მიაღწიოს ყველა საერთაშორისო საკითხის მოწესრიგებას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით; დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მონაწილეობა კორეის ომში და მოითხოვოს დროებითი ზავის სასწრაფოდ დადება; არ დაამტკიცოს ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვის გაერთიანების“ შესახებ, რომელიც მოასწავებს გერმანიის შეიარაღებას; მტკიცედ დაუჭიროს მხარი გერმანიის პრობლემის რაც შეიძლება მალე მოწესრიგებისათვის ოთხი დიდი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის ინიციატივას; ეცადოს, რომ ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა და ნაყოფიერი კულტურული გაცვლა დამყაროს ყველა ქვეყანასთან და არ დაუშვას ამ საკითხში არავითარი დისკრიმინაცია.

რეზოლუციაში, რომელიც სპეციალურად მიძღვნილია „ევროპის არმიის“ შექმნის საკითხისადმი, ხაზგასმით აღნიშნულია ამ ღონისძიების დამღუპველი ხასიათი ბელგიისათვის, რამდენადაც იგი იწვევს რევანშისტული ვერმახტის აღორძინებას და აძლიერებს მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს. მშვიდობის მომხრეთა კრება მოითხოვს, რომ მთავრობამ და პარლამენტმა უარყონ ეს ხელშეკრულება და მტკიცედ დაადგნენ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზას ვერმახიის საკითხის რაც შეიძლება მალე გადაჭრისათვის, კორეაში ომის შეწყვეტისა და ყველა საერთაშორისო სადავო საკითხის გადაჭრის მიზნით.

მშვიდობის მომხრეთა კრებამ გადაწყვიტა გაუგზავნოს პრემიერ-მინისტრ ვან გუტს, განათლების მინისტრს არმელს, საგარეო საქმეთა მინისტრს ვან ზეელანდს წერილი, რომელშიც ჩამოყალიბებულია კონკრეტული წინადადებანი მშვიდობის დაცვისა და ყველა ქვეყანასთან ფართო კულტურული ურთიერთობის დამყარების შესახებ.

კრების მონაწილეებმა ბელგიის მთავრობას მიმართეს წინადადებით გამოიჩინოს ინიციატივა ყველა ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობის დამყარების საქმეში.

ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის აღმასკომის განცხადება

ლონდონი, 6 ივლისი. (საკდესი). ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტის აღმასკომმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომელშიც მიესალმება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადწყვეტილებებს, რომლის სესია ამას წინათ გაიმართა ბუდაპეშტში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელ რამდენიმე კვირაში სულ უფრო მეტი ადამიანი დარწმუნდა, რომ წინადადებებს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლთა მოლაპარაკების შესახებ, რომლებსაც მხარს უჭერს კაცობრიობის მეტი ნაწილი და ბევრი მთავრობა, ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ მთელი რიგი გავლენიანი წრეები, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„ფოსტერ დალესის სიტყვით, — ნათქვამია განცხადებაში, — ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ვაშინგტონში გამოყენებულ უნდა იქნას აღმოსავლეთ ევროპაში ცივი ომის გაძლიერების საშუალებათა განსახილველად. წარმოიშვა ახალი საფრთხე, რომ საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას შემდგომ დაბრკოლებებს შეუქმნიან“.

ამიტომ უაღრესად საჭიროა დაიღოს დროებითი ზავი კორეაში და დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია კორეაში არსებული მდგომარეობის განსახილველად, და საჭიროა, რომ ინგლისის მთავრობამ დაუყოვნებლივ გამოიჩინოს ინიციატივა — წამოაყენოს წინადადება დიდი სახელმწიფოების მეთაურთა კონფერენციის მოწვევის თარიღისა და ადგილის შესახებ.

განცხადება მოუწოდებს მშვიდობის ყველა მომხრეს აქტიურად დაუჭირონ მხარი ამ წინადადებებს.

ფინეთის მშრომელები მოითხოვენ დემოკრატიული მთავრობის შექმნას

ჰელსინკი, 6 ივლისი. (საკდესი). დემოკრატიული პრესა იუწყება, რომ მშრომელთა შორის გაძლიერდა მოძრაობა ისეთი მთავრობის შექმნისათვის, რომელიც შეასრულებს ფინეთის მიერ დადებულ სახელმწიფო ხელშეკრულებებს, განაზორციელებს მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას და საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკას, იზრუნებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

ფინეთის სხვადასხვა ნაწილის საწარმოებში, პროფკავშირებსა და სხვა ორგანიზაციებში იმართება კრებები, სადაც იღებენ რეზოლუციებს, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობის მთავრობის შექმნას. ჰელსინკის ქარხანა „კონე-სილტის“ პროფორგანიზაციამ თავის კრებაზე განიხილა მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის საკითხი და მიიღო ტექსტი წერილისა რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი. წერილში გამოთქმულია იმედი, რომ პრეზიდენტი ხელს შეუწყობს ისეთი მთავრობის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთათვის სამუშაოსა და არსებობას და განაზორციელებს მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას.

ჰელსინკის ერთ-ერთი სამშენებლო ფირმის მუშები თავიანთ წერილში რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი აცხადებენ, რომ მშრომელები მოიწონებენ მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირი.

მიმდინარე წლის ივნისში იტალიაში მოეწყო დეპუტატთა პალატის არჩევნები. იტალიელი რეაქციონერები და მათი ამერიკელი მბრძანებლები მოელოდნენ, რომ ეს არჩევნები რეაქციის ძალთა გამარჯვებით დამთავრდებოდა, მაგრამ მათი იმედი გაცრუდა. ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა იტალიის კომუნისტურმა პარტიამ, რომლის კანდიდატებს ხმა მისცა 6,1 მილიონმა ამომრჩეველმა. ამ არჩევნებში ყველა ოპოზიციურმა ჯგუფმა საერთო ანგარიშით მიიღო ხმების 50,2 პროცენტი. ასე ჩაიფუშა ქრისტიან დემოკრატთა ბლოკის გეგმები.

არჩევნებში დემოკრატიული პარტიების წარმატებამ მშრომელი მოსახლეობის დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. იტალიის საზოგადოებრიობა მოითხოვს მშვიდობისა და სოციალური რეფორმების მთავრობის შექმნას.

სურათზე: არჩევნებში პროგრესული პარტიების გამარჯვებით აღფრთოვანებული მშრომელები რომში გაზეთ „უნიტას“ რედაქციის შენობასთან.

საკდესის ფოტოქრონიკა.

დამთავრდა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „პრაღის გაზაფხული“

პრაღა, 6 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

გუშინ პრაღაში გაიმართა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „პრაღის გაზაფხულის“ საბოლოო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა სოლისტებმა. საბოლოო კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ა. რეინის სახელობის ჩასაბერი ინსტრუმენტების შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატებმა ვ. ბუიანოვსკიმ (ვალტორნა), ვ. კურლინმა (ჰობოი), ა. კორნეევმა (ფლეიტა), ს. ვიშნევსკიმ (ვალტორნა) და ლ. პეჩერსკიმ (ფაგოტი).

დიდი წარმატება ხვდათ ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტებს ი. იზრაილევას და კ. შატილოვს, აგრეთვე ტ. გუსევას და ვიოლონჩელისტ ა. ლაჩკოს.

კონცერტის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა ხელოვნების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ტაფერმა, რომელმაც გამოაცხადა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „პრაღის გაზაფხულის“ დახურვა და მადლობა უძღვნა საბჭოთა სოლისტებს შესანიშნავი ოსტატობისათვის.

საბჭოთა შემსრულებლების სახელით სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მსახიობების დელეგაციის ხელმძღვანელმა გ. ორლოვმა.

ფრანგი კომუნისტების გამარჯვება ქალაქ ტარბის მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 6 ივლისი. (საკდესი). 5 ივლისს ზემო პირენეის დეპარტამენტის პრეფექტის გადაწყვეტილებით მოეწყო ქალაქ ტარბის მუნიციპალური საბჭოს ახალი არჩევნები. ეს არჩევნები იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მუნიციპალური მრჩეველნი — ბურჟუაზიული პარტიების წევრები. გადადგნენ ქალაქ ტარბის მერად კომუნისტ პეირესის არჩევასთან დაკავშირებით.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ არჩევნებში მიიღო 6.873 ხმა, რაც ამომრჩეველთა ხმების საერთო რიცხვის 45 პროცენტს შეადგენს. კომუნისტ კანდიდატთა სიას ხმა მისცა 2.114 ამომრჩეველთ მეტმა, ვიდრე ამა წლის 26 აპრილის მუნიციპალურ არჩევნებში. კომუნისტურმა პარტიამ ტარბის მუნიციპალურ საბჭოში მიიღო კიდევ 4 ადგილი.

ფრანგ მშრომელთა მოქმედების ერთიანობის განმტკიცება

პარიზი, 6 ივლისი. (საკდესი). დემოკრატიული პრესა აქვეყნებს უამრავ მასალას, რომელიც მოწმობს, რომ ფართოვდება და მტკიცდება მშრომელი მასების მოქმედების ერთიანობა ხელფასის მომატებისა და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაში. 5 ივლისს დასაღებულ პუნქტ ფოგეროლში (ლოს და გარონის დეპარტამენტი) გაიმართა დიდი სახალხო კრება, რომელსაც დაესწრო ამ დეპარტამენტის 35 ათასზე მეტი მცხოვრები. კრების მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ჟაკ დიუკლოს, რომელმაც თავის სიტყვაში მოუწოდა მათ განამტკიცონ მოქმედების ერთიანობა ისეთი სახალხო ფრონტის შესაქმნელად, რომელიც შეძლებს შეცვალოს მოვლენათა მიმდინარეობა, აღადგინოს საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობა, მიაღწიოს ნამდვილი დემოკრატიული მთავრობის შექმნას, მშვიდობასა და სოციალურ პროგრესს.

შრომის საყოველთაო კონფედერაცია ეწევა ბრძოლას ყველა პროფკავშირული გაერთიანების მოქმედების ერთიანობისათვის. დღეს გაზეთ „ლუმანიტეში“ გამოქვეყნდა სენის დეპარტამენტის მელითონთა პროფკავშირების გაერთიანების (შედის შრომის საყოველთაო კონფედერაციაში) კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ მიუხედავად უოანხმოებისა მთელი რიგი პუნქტების გამო, შრომის საყოველთაო კონფედერაციის, „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის“, „ფორს უვრიერისა“ და სხვა პროფკავშირები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა შეიქმნას ერთიანი ბლოკი მუშათა ეკონომიური მოთხოვნებისათვის ბრძოლაში.

კათოლიკურ პროფკავშირთა გაერთიანების („საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის“) და „ფორს უვრიერის“ (რომელსაც მემარჯვენე სოციალისტები ხელმძღვანელობენ) ლიდერთა გამთიშველი პოზიციის მიუხედავად ამ პროფკავშირების ძირეული ორგანიზაციები და რიგითი წევრები ხშირად უჭერენ მხარს შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიერ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს და თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში კომუნისტ მუშებთან ერთად გამოდიან. „ლუმანიტე“ ყოველდღე აქვეყნებს მანქანათმშენებელი მრეწველობის იმ საწარმოთა ვრცელ სიას, რომლებშიც ერთობლივი მოქმედების შედეგად მუშებმა და მოსამსახურეებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას, ხელფასიან შვებულებათა და გასასვლელი დახმარების მიღებასა და სხვ.

გაზეთი „ლუმანიტე“ ინდო-ჩინეთის სახელმწიფოების მარიონეტული მთავრობებისადმი საფრანგეთის ნოტის შესახებ

პარიზი, 5 ივლისი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია ტექსტი საფრანგეთის ნოტისა ინდო-ჩინეთის სამი სახელმწიფოს მარიონეტული მთავრობებისადმი. საფრანგეთის მთავრობა თავის ნოტაში აცხადებს, რომ „საფრანგეთს შესაძლოდ მიიჩნია უფრო სრული დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი მიანიჭოს“ ინდო-ჩინეთის სახელმწიფოებს, „უზრუნველყოს მათთვის... გადაცემა რწმუნებებისა, რომლებიც საფრანგეთმა ჯერ კიდევ შეინარჩუნა“.

ამ ნოტის გამო გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ „საფრანგეთის მთავრობა ცდილობს განამტკიცოს თავისი ბატონობა ინდო-ჩინეთის მარიონეტებისადმი და ამ მიზნით სთავაზობს მათ „მოლაპარაკებას“. იგი მხოლოდ „აღუთქვამს“ მათ მოლაპარაკებას, რათა გაუადვილოს მარიონეტებს დემაგოგიური ოპერაციები. ამრიგად, საფრანგეთის მთავრობა ცდილობს შეასუსტოს დავა და შეანელოს სიძნელეები, რომლებიც წარმოიშობა ბატონებსა და მსახურებს შორის“.

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 6 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე განსაკუთრებული ცვლილებანი არ მომხდარა.

კენიის ამგეგი

ლონდონი, 6 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ნაკურუდან (კენია) იუწყება, 5 ივლისს ჯარები, პოლიცია და ადგილობრივი თავდაცვის რაზმები გარსშემორტყმენ 10 ათასამდე ზანგს ნაკურუს რაიონში. ოპერაციაში მონაწილეობდა ჯავშნიანი მანქანები.

ათასზე მეტი ზანგი დასაკითხავად გაგზავნეს სპეციალურ განმანაწილებელ ბანაკში, რომელიც ქალაქ ნაკურუს განაპირას მდებარეობს.

გაზეთ „ალ-აჰრამის“ ცნობით ეგვიპეტე უარს აცხადებს ამერიკის „დახმარებაზე“

კაირო, 6 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-აჰრამი“ იუწყება, ეგვიპტე უარს ამბობს მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარება“ ეგრეთწოდებული „უშიშროების ურთიერთუზრუნველყოფის კანონის“ საფუძველზე. „ამერიკელმა ხელისუფლებმა არაერთხელ მიმართეს გადაკრულად ეგვიპტეს, — აღნიშნავს გაზეთი, — მაგრამ მას დღემდე არ მიუმართავს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დახმარების გაწევის თხოვნით“.

იმოწმებს რა ეგვიპტის პასუხისმგებელი ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებას, გაზეთი წერს, რომ ეგვიპტისათვის მიუღებელია ამერიკის „დახმარების“ პირობები. ასეთი „დახმარების“ მიღების აუცილებელი პირობაა, წერს გაზეთი, „მონაწილეობა ნახევრადსამხედრო კავშირში ამერიკასთან“, რაც „შეუთავსებელია ეგვიპტის მთავრობის საერთო პოლიტიკასთან“.

ბევინის გამოსვლა

ლონდონი, 6 ივლისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 4 ივლისს ნიუტაუნში ლეიბორისტული პარტიის წევრთა ოთხიათასიან მიტინგზე ლეიბორისტების ერთ-ერთმა ლიდერმა ენიურინ ბევინმა მოუწოდა დასავლეთს „გადადგას რამდენიმე ნაბიჯი რუსებთან დასაახლოებლად“.

როგორც ბევინმა აღნიშნა, „ამერიკის მთავრობამ... ვერ გიგო, რომ რუსებმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს საყოველთაო დამშვიდებისაკენ, და ჩვენც უნდა გადავდგთ რამდენიმე ნაბიჯი მათთან დასაახლოებლად“.

ბევინმა თქვა, რომ მშვიდობა ევროპაში არ შეიძლება იყოს მანამდე, სანამ გერმანია გაყოფილია. მან აზრი გამოთქვა, რომ დასავლეთის ქვეყნები უნდა „დათანხმდნენ განიარაღებული და ნეიტრალიზებული გერმანიის არსებობაზე“.

მან აგრეთვე აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა მოეწყოს კონფერენცია განიარაღების საკითხებზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის მონაწილეობით.

საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდი ნიუ-იორკს გაემგზავრა

ამერიკის საჭადრაკო ფედერაციის თხოვნით საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა ფ. როგარდმა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციას მიმართა წინადადებით — მოეწყოს ამა წლის ივლისში ქალაქ ნიუ-იორკში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდების მატჩი.

საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციამ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის საშუალებით აცნობა ამერიკის ფედერაციას, რომ თანახმაა საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდმა მონაწილეობა მიიღოს მატჩში ამერიკელ მოჭადრაკეთა გუნდთან.

6 ივლისს მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაფრინდა საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდი, რომელშიც შედიან: გროსმაისტერები მ. ბოტვინიკი, პ. კერესი, ვ. სმისლოვი, ი. ბოლესლავსკი, ა. კოტოვი, ე. გელერი, მ. ტალიანოვი, ა. ტოლუში და სათადარიგო მონაწილენი — ტ. პეტროსიანი და ი. ავერბახი. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელია ვ. კემენოვი, გუნდის კაპიტანი — გროსმაისტერი ვ. რაგოზინი, მწვრთნელი — გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი.

მიღებული ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის შემადგენლობაში შედიან გროსმაისტერები ს. რეშევსკი და რ. ფაინი, ოსტატები ლ. ევანსი, რ. ბირნი, გ. კრამერი, ი. გოროვიცი, ა. დენკერი და მ. პაგენ; სათადარიგო მონაწილენი არიან ოსტატები ა. ბისგაიერი და ა. დეიკი.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდების მატჩი გაიმართება ოთხ ტურად. თვითეული მონაწილე თავის დაფაზე ითამაშებს ოთხ პარტიას. პირველი ტური დასახულია მოეწყოს 1953 წლის 15 ივლისს.

ჯილდოები გადაეცათ მოსკოვ—ხარკოვ—კიევ—მინსკ—მოსკოვის მრავალი დღის ველომარულამი გამარჯვებულთ

6 ივლისს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე მოსკოვის გუნდების „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა შეჯიბრების შემდეგ გაიმართა ჯილდოების საზეიმო გადაცემა მოსკოვ — ხარკოვ — კიევ — მინსკ — მოსკოვის მრავალი დღის საგზატკეცილო ველომარულაში გამარჯვებულებისათვის.

შეჯიბრებაში გამარჯვებულს, სპორტის ოსტატ როდისლავ ჩიეიკოვს (საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის პირველი გუნდი) გადაეცა მრავალი დღის მარულაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდელი მაისური. მან მიიღო აგრეთვე ხარკოვის ველოქარხნის მიერ დაწესებული პრიზი — სამარული ველოსიპედი და ჟურნალ „ოგონიოკის“ პრიზი.

საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის პირველ გუნდს, რომელმაც მარულაში პირველი ადგილი დაიკავა, გადაეცა გარდამავალი თასი.

დედაქალაქის მშრომელთა სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოებული არიან მარულის მეთხუთმეტე ეტაპში (ვეატკ — მოსკოვი) გამარჯვებულები — სპორტის ოსტატები ვიქტორ ვერშინინი (საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის პირველი გუნდი). ანატოლი კოლესოვი („ზენიტი“) და ნიკოლოზ მატვეევი („კალევი“).

„დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი ათასობით მაყურებელი გულთბილად მიესალმა ველოშეჯიბრების მონაწილეებს. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრა ვიეტნამელ ქალთა დელეგაციის

საქართველოში ოთხ დღეს იყო სტუმრად ვიეტნამელ ქალთა დელეგაცია ვიეტნამელ ქალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ხოანგ ტი აის მეთაურობით.

ვიეტნამელ ქალთა წარმომადგენლები იყვნენ რესპუბლიკის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბავშვო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შეხვდნენ სხვადასხვა პროფესიის ქალებს.

უცხოელმა სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი და ახალი მშენებლობანი, პარკები, იყვნენ ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ისინი დინამტერესდნენ საწარმოს კოლექტივის ცხოვრებისა და შრომის პირობებით, ესაუბრნენ მუშა ქალებს, გაეცნენ კომბინატის კულტურის სახლისა და მის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობას.

დელეგაცია გაემგზავრა გორში, მცხეთაში და აჭარის ასს რესპუბლიკაში. ვიეტნამელმა ქალებმა მოაწყეს ექსკურსია ქალაქ ბათუმში, იყვნენ საკავშირო პროფსაბჭოს სანატორიუმში მწვანე კონცხზე. ქობულეთის რაიონში ისინი ეწვივნენ სოფელ ბობოყათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას. დელეგაციის წევრები გაეცნენ საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციას, დაათვალიერეს ჩაის პლანტაციები, კოლმეურნეობის ახალი კლუბი, იყვნენ კოლმეურნეთა ოჯახებში.

თბილისს დაბრუნების შემდეგ დელეგაციის პატივსაცემად მოეწყო დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის საწარმოთა მუშები, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების მოღვაწეები.

საქართველოს დედაქალაქიდან გამგზავრების წინ დელეგაციის მეთაურმა ხოანგ ტი აიმ განაცხადა:

— სსრ კავშირში ყოფნის დროს ჩვენ ვნახეთ, თუ რა ბედნიერად ცხოვრობს საბჭოთა ხალხი. დავრწმუნდით, რომ ხალხის კეთილდღეობა საბჭოთა მთავრობის მთავარი საზრუნავია. ყოველივე, რაც საბჭოთა კავშირში ვნახეთ, აღგვაფოთოვანებს ჩვენს ბრძოლაში თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

6 ივლისს ვიეტნამელ ქალთა დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრმა პროფესორმა ნ. ა. ჯავახიშვილმა, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელმა მუშაკებმა ა. ნ. ელენტმა და მ. ლ. ჯიბლაძემ, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. სერგი ალექსანდრეს-ძე ვინოგრადოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ა. პ. ბავლოვი გაათავისუფლა საფრანგეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროს სტალინის სახელობის ბორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 1953-1954 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიღების პირობები.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის კადრებს სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის.

ტექნიკუმს აქვს სამი განყოფილება: ა) **მეხილეობა-მებოსტნეობის**, ბ) **მემინდვრეობის**, გ) **სამუხტალტრო-ეკონომიური.**

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი ან გამოსული არიან IX, X და XI კლასიდან, და ის პირნი, რომლებმაც 7 კლასი დამთავრეს 1945 წლამდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე ან გადმოგზავნონ ფოსტით შემდეგი მისამართით: გორი, ლენინის ქუჩა № 3.

განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს, რომელ განყოფილებაზე სურს შემოსვლა. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ა) სკოლის დამთავრებისა და დაბადების მოწმობები, ბ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, გ) 3 ცალი ფოტოგრაფიული სურათი (შემოწმებული), დ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), ე) ავტობიოგრაფია და ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

ტექნიკუმში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებმაც რვაწლიანი სკოლა დამთავრეს ხუთებზე 1952 და 1953 სასწავლო წლებში.

დანარჩენთათვის მისაღები გამოცდები დაწესებულია ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, სსრკ კონსტიტუციაში და მათემატიკაში.

მიღებულ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია 140-200 მანეთამდე. ყველა მოსწავლე დაკმაყოფილებულ იქნება კვებით (სახელმწიფო ფასებით) როგორც გამოცდების მიმდინარეობისას, ისე მიღების შემდეგ.

მთხოვნელთა განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

მოსაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. მოსწავლეთა ჩარიცხვა დამთავრდება 25 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 1 სექტემბერს.

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის ქართული და რუსული სექტორების I კურსზე შემდეგი სპეციალობებით:

1. ტყის საზიდი გზების მშენებლობა და ექსპლატაცია (ამზადებს ტყის საზიდი გზების მშენებლებს და ექსპლოატაციის ტექნიკოსებს).
2. ხეტყის დამზადება (ამზადებს ტყის დამზადების ტექნიკოს-ტექნოლოგებს).

ტექნიკუმში I კურსზე მიიღებიან სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა.

მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ა) სსრკ კონსტიტუციაში (ზეპირი), ბ) რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), გ) მათემატიკაში (წერა, ზეპირი), ხოლო ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის — დამატებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი). ტექნიკუმში განცხადებების მიღება იწარმოებს 1953 წლის 31 ივლისამდე. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნას შემსვლელის მიერ არჩეული სპეციალობა. მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე და დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ბ) მოწმობა დაბადების შესახებ (დედანი), ხოლო პასპორტი წარედგინება პირადად, გ) ავტობიოგრაფია, დ) სამი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ. ე) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ვ) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ზ) ცნობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

5%-ს ანგარიშში ჯურსდამთავრებულები უგამოცდოდ მიიღებიან სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტებში.

ტექნიკუმში ჩარაცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, ხოლო სწავლის წარჩინებულნი მიიღებენ 25%-ით მეტს.

ტექნიკუმთან არსებობს სასადილო და საერთო საცხოვრებელი. ყოველგვარი ცნობებისათვის მიმართეთ ტექნიკუმის დირექციას.

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, მაიაკოვსკის გზატკეცილი, სატყეო-ტექნიკური ტექნიკუმი. კანცელარია ღიაა დილის 9 საათ